



# უნივერსიტეტი

16  
ნოემბერი,  
ორშაბათი,  
2015 წ., №14

## ნოემბერი

რა საკითხებს განიხილავს სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ჯგუფი

83.2



სენატის წევრ სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ

83.3

იაკობ გოგაბაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

83.4



გიორგი გოგოლაშვილი — იაკობ გოგაბაშვილის პრემიის პირველი ლაურეატი

83.7

ახალი სახელმძღვანელო — „ოსური ფოლკლორი“

83.13

არჩილ თეთრაულისა და ზურაბ სოსელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა

83.15

## ქართველოლოგიის საერთაშორისო კონგრესი დასრულდა



ქართველოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის, განვითარება ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან, ვინაშით სამეცნიერო ინტერესების გარდა, განავითარებას საჭიროებს ქვეყნის ნიშანს მსოფლიოს სხვა კვალი კულტურის ქვეყანათა შორის. სწორედ ამიტომ, ეს დარგი ხელისუფლებასა და მთავრობის ზრუნვის საგანია და მისი ხელშეწყობისათვის არაერთი ღონისძიება ხორციელდება.

ამ მიზანს ემსახურებოდა 11-14 ნოემბერს გამართული საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომლის მომზადებაში დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს საპატრიარქო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულმა აკადემიამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

10 ნოემბერს უცხოელი ქართველოლოგები საქართველოს საპატრიარქოს სტუმრობდნენ. ისინი მიიღეს კათოლიკოს-პატრიარქმა, უნივერსიტეტის რექტორმა და უნატარესმა ილია II-მ, რომელმაც მათ საჩუქრები გადასცა და ქართველოლოგიის კონგრესს წარმატება უსურვა.

საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია: „ქართველოლოგიური კონგრესი მოიაზრება, როგორც ერთგვარი დათვალაობა, ერთი მხრივ, იმ უმნიშვნელოვანესი შედეგებისა, რასაც ქართველოლოგებმა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, მიაღწიეს, ხოლო მეორე მხრივ, იმ პრობლემებისა, რაც უკანასკნელი ათწლეულების გაჭიანურებული კრიზისის შედეგად წარმოიქმნა ქართველოლოგიის განვითარების საშინაო თუ საერთაშორისო ასპარეზზე“. სწორედ ამგვარი შემთავაზებით მოხსენებებით წარსდგნენ მეცნიერები სამეცნიერო ფორუმზე.

კონგრესი გახსნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, რომელმაც დარბაზს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის ილია II-ს კურთხევა გადასცა. მოწვეულ სტუმრებს ასევე მიესალმნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი გიორგი კვეციანიძე, ჭიათურისა და

საჩხერის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი, დონის როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ბესარიონ მესხი და სხვები.

კონგრესი მეორე დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაგრძელდა, სადაც დონის როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა ქართულ უნივერსიტეტის სამახსოვრო საჩუქარი გადასცა და ამავე დროს ქართველ მეცნიერებთან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

კონგრესზე იმუშავა რამდენიმე სამეცნიერო სექციამ და წარმოდგენილი იყო 120-მდე მოხსენება. თემატიკა, რომელსაც მეცნიერთა მოხსენებები შეეხებოდა, მოიცავდა ქართულ ენას, ქართველოლოგიური ბაზების ტექნოლოგიურ უზრუნველყოფას, ისტორია-ისტორიო-გრაფიკას, წყაროთმცოდნეობას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, ლიტერატურათმცოდნეობას, ქრისტიანული მნიშვნელობის კვლევის თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემატიკას, ღვთისმეტყველებას, ქართულ ხელოვნებათმცოდნეობასა და ქართულ ფოლკლორს.

მეცნიერთა დიდმა ნაწილმა კონგრესი მაღალი დონის სამეცნიერო ფორუმად მიიჩნია, რადგანაც იგი მოიცავდა ქართველოლოგიის თითქმის ყველა მიმართულებას და მოხსენებები წარმოდგენილი იყო თანამედროვე ტენდენციების კონტექსტში.

**ავთანდილ არაბული**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი: „კონგრესზე 3 სექციამ ჩამოყალიბებული და მათზე, როგორც ჩვენი სტუმრების, ასევე ქართველი კოლეგების მხრიდან, უაღრესად საინტერესო სამეცნიერო მოხსენებები მოვისმინეთ. ჩვენ საგანგებოდ ვეშაბდებოდით, რომ კონგრესზე წარმოდგენილი არა წერილობითი საკითხები (რომელიც, ცხადია, მეცნიერებს აქვს და აინტერესებს), არამედ, ფუნდამენტური მოხსენებები ქართველოლოგიის განვითარებისა და თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინების თვალსაზრისით. განსაკუთრებული ინტერესით მოვუსმინეთ უცხოელ

გვ-3 გვერდზე

## მისია 2015 — სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში — „მისია 2015“ დაიწყო. კონკურსის პრეზენტაციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, კომპანია „თიბისი“ ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედია კომუნიკაციების დირექტორი თამარ კირვალიძე და სტუდენტები დაესწრნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას განცხადებით, ეს პროექტი უნივერსიტეტისთვის

უკვე ტრადიციულია და მეხუთედ ტარდება. ამ წელს პარტნიორად შევარჩიეთ წარმატებული ქართული კომპანია „თიბისი“ ბანკი. თავის მხრივ, კონკურსი მიზნად ისახავს ახალგაზრდების გააქტიურებას, რათა მოინაწილონ და სხვადასხვა კომპანიასთან ერთად იმუშაონ მათი განვითარების გეგმაზე. ძალიან დიდია ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების დაინტერესება, შესაბამისად, კონკურსიცავთ და რა თქმა უნდა,

გვ-12 გვერდზე



# რა საკითხებს განიხილავს სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ჯგუფი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მომსახურების სერვისის გასაუმჯობესებლად მუშაობა დაიწყო. თსუ-ის რექტორის, ვლადიმერ პაპავას ბრძანებით შექმნილი სპეციალური სამუშაო ჯგუფი ამჟამად იმ ფუნქციებს ახორციელებს, რომელიც სტუდენტთა მომსახურების რეორგანიზებულ ცენტრს ექნება. კონკრეტული დეტალების შესახებ თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტს, სამუშაო ჯგუფის წევრს ანი მასხატიშვილს ვესაუბრეთ.

## ნათო მოლოკაძე

რექტორის ბრძანებით შექმნილმა ჯგუფმა, რომელიც სტუდენტთა მომსახურების გაუმჯობესებაზე მუშაობს, რამდენიმე შეხვედრა გამართა. კონკრეტულად რა საკითხები განიხილება?

ჩვენს სამუშაო ჯგუფში მიმდინარეობს ყველა იმ ძირითადი საკითხის განხილვა, რომელიც ამჟამად სტუდენტებისთვის პრობლემატურია. ამ ეტაპზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა საგნების არჩევაა. ჩვენ შევხვდით თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის წარმომადგენლებს, რათა გაგვეჩვენათ — რამდენად გამართულად მუშაობს ბაზა. მათი განმარტებით, საგნების არჩევის დროს წარმოქმნილი პრობლემები არა ამ კონკრეტული სამსახურის ცუდად მუშაობის, არამედ საგნებზე არასაკმარისი ადგილების რაოდენობის შედეგია. ჩვენ, სამუშაო ჯგუფის წევრები, ვთავაზობთ წინასწარი რეგისტრაციის სისტემის დანერგვას ყველა ფაკულტეტზე. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები შეძლებენ მათთვის სასურველი საგნების არჩევას. მოხსენება აუდიტორიების დაგეგმვების და რესურსების არასწორად გადანაწილების პრობლემაც. რესურსების გადანაწილებაში ვგულისხმობ იმას, რომ ზოგიერთ საგანში, სადაც სტუდენტთა რაოდენობა მცირეა, ლექცია ტარდება დიდ აუდიტორიაში, ისეთი საგნები კი, სადაც ბევრი სტუდენტი დარეგისტრირებული, ტარდება პატარა აუდიტორიაში, რაც სტუდენტებისთვის დისკომფორტს ქმნის.

სამუშაო ჯგუფის წევრები, ასევე, არიან თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები, რომლებსაც აქტიურობის გამართვისას ჰქონდათ გარკვეული მოთხოვნები. იზიარებთ თუ არა მათ შეხვედრებებს უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით?

ჩემი პოზიცია არის ასეთი — პრობლემათა ნაწილი, რომელზეც ისინი საუბრობდნენ რეალურია. ნაწილს — არ ვეთანხმები.

რომელ ნაწილს გულისხმობთ?

რეალურია, რომ უნივერსიტეტში არსებობს პრობლემები, რომლებიც უნდა მოგვარდეს, მაგრამ არ ვეთანხმები რექტორის გადადგომის მოთხოვნას, რადგან მგონია, რომ ამ პრობლემების მოგვარების გამოსავალი არა რექტორის გადადგომა, არამედ ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია და სწორი თანამშრომლობაა. ამ ეტაპზე, თსუ-ის ადმინისტრაცია მზადყოფნას გამოხატავს თანამშრომლობისთვის და კონკრეტული ნაბიჯებიც იდგმება.

ამ დროისთვის რა ეტაპზეა სამუშაო ჯგუფი?

რამდენიმე სამუშაო შეხვედრა გექონდა. შეხვედრებს ჯგუფის წევრი სტუდენტები, მისი ხელმძღვანელი, რექტორის მოადგილე და რექტორის მრჩეველი ირაკლი მურცხვალაძე ესწრება. სხვა საკითხებთან ერთად ვიმსჯელებთ სტუდენტებთან კომუნიკაციის ხარვეზებზე. თსუ-ის ადმინისტრაციის გარკვეული სტრუქტურული ერთეულები შეიძლება ცალ-ცალკე კარგად მუშაობს, მაგრამ სტუდენტისთვის მაინც არახელსაყრელი გა-

რემოა შექმნილი, რადგან, პრობლემის შექმნის შემთხვევაში, მას არ უნდა უწევდეს იმაზე ფიქრი, თუ ვის მიმართოს. სტუდენტებს სემინარებისა და ლექციების გამო ძალიან დაკავებული რეჟიმი აქვთ. ამიტომ ერთი ფანჯრის პრინციპით უნდა განხორციელდეს სტუდენტების მომსახურება. სავარაუდოდ, ეს სიახლე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მალე დაინერგება.

სამუშაო ჯგუფის ფარგლებში კიდევ რა პრობლემური საკითხების წამოწევას გეგმავთ?

ვფიქრობ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველა სტუდენტს საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალება უნდა ჰქონდეს და არა მხოლოდ ამ სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. ყოველდღე, სასწავლო პროცესის მსვლელობისას, ჩნდება ხარვეზები. თსუ-ში უნდა იყოს ადგილი, სადაც სტუდენტებს შეეძლებათ მისვლა, სადაც მათ პრობლემებს მოისმენენ და მოგვარებაზე იზრუნებენ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყველაზე დიდი წარმომადგენლობითი სტუდენტური ორგანო სტუდენტური თვითმმართველობაა. 22 000 სტუდენტიდან, რომელიც თსუ-ში სწავლობს, ყველას არ სურს მათთან თანამშრომლობა. მე არ ვსაუბრობ ამის მიზეზზე, უბრალოდ ფაქტი აღვნიშნე. თვითმმართველობის წევრი სტუდენტების რაოდენობა რამდენიმე ასეულია, თუმცა არ უნდა დაგავიწყდეს, რომ მათ მიღმა არსებობს 21 000-ზე მეტი სტუდენტი, რომელიც თვითმმართველობის წევრი არ არის. სად ისმის ასეთი სტუდენტების ხმა?! ვფიქრობ, უნდა დაარსდეს ცენტრი, რომელიც უშუალოდ მოემსახურება ასეთ სტუდენტებს და ადმინისტრაციასთან თანამშრომლობით მათ პრობლემებს მოაგვარებს. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი, მეხუთე მოწვევის თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თბილისის



სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა არაუმეტეს 20-მა პროცენტმა. დანარჩენ სტუდენტებს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღიათ. შესაბამისად, თვითმმართველობა, რომელიც ამჟამად ფუნქციონირებს თსუ-ში, რეალურად წარმომადგენს სტუდენტების არაუმეტეს 20%-ის არჩევანს.

ანუ, ჯერჯერობით პრობლემათა მოძიება-დაზუსტების რეჟიმში ხართ?

მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა — დღეს ყველა ხედავს, რა პრობლემები არსებობს უნივერსიტეტში. თუმცა, პრობლემების მოსაგვარებლად ძალიან ცოტა ადამიანი იზრძვის. მოვუწოდებ სტუდენტებს მაქსიმალური აქტიურობისკენ. სამუშაო ჯგუფის წევრებიც ვგეგმავთ მათთან შეხვედრებს. ასევე, მალე მათ შეეძლებათ ელექტრონული ფორმატით მოგვანოდონ საკუთარი წინადადებები, თუ რა ფუნქცია სურთ დაამატონ სტუდენტთა მომსახურების რეორგანიზებულ ცენტრს. ყველას მოვუწოდებ ჩართულობისკენ. მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია მდგომარეობა უკეთესობისკენ შევცვალოთ.

## ოფიციალური ბვირდი

### სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სალმძვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრაქტიკული გამოცხადების დასაწყისისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე

109/2015

26.10.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 57-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და თსუ-ს იურიდიული დეპარტამენტის 23.10.2015, №39716/02 წერილის საფუძველზე,

#### აკადემიური საბჭო ადგენს:

გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში — „უნივერსიტეტი“) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკა-

ვებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით, დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია და დამტკიცდეს კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტი (დანართი №1).

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მითითებების საფუძველზე კონკურსის ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით 2015 წლის 30 ნოემბრამდე დამტკიცდეს შესაბამისი კომისია.

დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული განცხადების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთებში — „რეზონანსი“, „კვირის

პალიტრა“ და „თბილისის უნივერსიტეტი“. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

დადგენილება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

**ვლადიმერ პაპავა**  
რექტორი, პროფესორი, აკადემიკოსი  
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

#### დანართი

### განცხადება სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სალმძვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრაქტიკული გამოცხადების დასაწყისისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

- გამოცხადდეს კონკურსი სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
- პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წლის 30 ნოემბრის 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №1, ოთახი №114.
- ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2015 წლის 11 დეკემბრის 18:00 საათი.
- აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების შეფასება განხორციელდეს 2 ეტაპად:
  - დოკუმენტური მონაცემების შეფასება — 2015 წლის 21 დეკემბრიდან არა უგვიანეს 30 დეკემბრისა;
  - პრეტენდენტებთან გასაუბრება — 2016 წლის 14 იანვრიდან არა უგვიანეს 28 იანვრისა.
- აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 5 თებერვალი.

- პრეტენდენტი უნდა იყოს:
  - უმაღლესი განათლების მქონე;
  - ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
  - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
  - 65 წელზე ნაკლები ასაკის.
- პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
  - განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე;
  - უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
  - პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
  - ავტობიოგრაფია (CV);
  - კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
  - 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
  - ნასამართლობის შესახებ ცნობა;
  - სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა.

# ქართველოლოგიის საერთაშორისო კონგრესი დასრულდა

## პირველი გვერდიდან

ქართველოლოგებს, რომელთაც ყოველთვის აქვთ ჩვენთვის საინტერესო ახალი სამეცნიერო ინფორმაციები. უნდა ვთქვათ, რომ ამ კონგრესზე განსაკუთრებული ინტერესით ველოდებოდათ პროფესორ ვახტანგ ლიჩელს, რომელმაც გრაკლიანი გორის არქეოლოგიური გათხრების სენსაციური აღმოჩენაზე უნდა ისაუბროს. ასე რომ, ეს კონგრესი, სამეცნიერო მიღწევების თვალსაზრისით, უაღრესად მაღალი დონისა აღმოჩნდა. გარდა ამისა, ვფიქრობ, რომ თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ეს კონგრესი დაიმკვიდრებს ადგილს, როგორც ერთგვარი საანგარიშო ფორუმი, დაახლოებით სამი წლის პერიოდულად, რომელზეც თავმოყრილი იქნება ქართველოლოგიაში მიმდინარე კვლევები, რაც თავისთავად გულისხმობს ჩვენი ეროვნული იდენტობისა და კულტურის პოპულარიზაციას, ჩვენი ქვეყნის უნიკალურობის წარმოაჩენას მსოფლიო ასპარეზზე.

**გურამ კვარაცხელია**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი: „მიმანია, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმი, რომელიც ქართველოლოგიურ პრობლემებს ეძღვნება. საინტერესო მოხსენებები მოვისმინეთ. გამოვარჩევი ქართველ მეცნიერთა ნაშრომებს, თუმცა არც გვიკვირს, რადგან ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი დონის ქართველოლოგიური სკოლა. აქ ბევრი უცხოელი მეცნიერია, რომლებიც არა მხოლოდ იკვლევენ ქართულ ენას, არამედ საუბრობენ ამ ენ-



აზე. ესეც დიდი სიმდიდრეა ჩვენი კონგრესისა და, ზოგადად, ქართველოლოგიის სამეცნიერო დარგისთვის“.

**პიროტაჰა მადია**, იაპონელი ქართველოლოგი: „მინდა მივულოცო ქართველ მეცნიერებს ამ მნიშვნელოვანი კონგრესის ჩატარებაზე. მე ამაყი ვარ, რომ ვმონაწილეობ ამ კონგრესის მუშაობაში. იმედი მაქვს, რომ კიდევ ჩატარდება ასეთი სამეცნიერო ფორუმები, რაც ჩვენთვის, უცხოელებისთვის, დიდი სტიმულია, ზოგადად კი ხელს შეუწყობს ქართველოლოგიის განვითარებას“.

**რეზა ბარჩილაძე**, თსუ-ის პროფესორი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში: „ქართველოლოგიური კონგრესი დროული გახლავთ, რადგან საქართველო ჩვენი კულტურა და მეცნიერება უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი. აქ ბევრი უცხოელი მეცნიერი იღებს მონაწილეობას, მაგრამ ვისურვებდი, რომ ასეთი კონგრესი ტარდებო-

დეს საზღვარგარეთ. მიმანია, რომ ეს კონგრესი არის მოსამზადებელი ეტაპი იმისათვის, რომ მსავსე უცხოეთშიც ჩატარდეს, თუმცა, ვფიქრობ, ეს უნდა იყოს აბსოლუტურად სექულარული, მას უნდა ატარებდეს უნივერსიტეტი და მეცნიერებათა აკადემია და თანამედროვეობას უნდა ემსახურებოდეს. მე მაქვს საშუალება, დავაკვირდე სხვა ქვეყნების კულტურის ისტორიას და უნდა ვთქვათ, რომ ქართული კულტურა მართლაც გამორჩეულია. კულტურის ასეთ უწყვეტობას, როგორც ჩვენ გვაქვს, ძალიან ცოტა ხალხი თუ დაიკვირებს მსოფლიოში. ჩრდილოეთის ქვეყნებში განვითარება გვიან დაიწყო და იქ კულტურა სამხრეთიდან შედიოდა. ამიტომ ჩვენ უნდა გავუფრთხილდე ქართულ კულტურას, ხოლო მეცნიერებს მართებთ – შეისწავლონ ის ისეთი კუთხით, რომელთაც მთელი მსოფლიოსთვის იქნება ცნობილი“.

კონგრესის გახსნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში დაესწრნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი

მიხეილ გიორგაძე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლაბაია; ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, პროფესორი გია ალიბეგაშვილი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა; მსოფლიო ბანი, საპატიო აკადემიკოსი პაატა ბურჭულაძე; მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი ელდარ ისმაილოვი; ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი; დელეგაციები ჩეჩნეთისა და დაღესტანის ავტონომიური რესპუბლიკებიდან.

კონგრესის მუშაობაში, ქართველ მეცნიერებთან ერთად, 11 ქვეყნის 20-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ საქართველოში უკვე კარგად ცნობილი ქართველოლოგები: ბერნარ უტიე (საფრანგეთი, ლავო), ვინფრიდ ბოლდერი (გერმანია, კოლდენბურგი), პიროტაჰა მადია (იაპონია, ტოკიო), ნიკოლაე დურა (რუმინეთი, ბუქარესტი) და სხვები. წარმომადგენლობითი დელეგაციები ჩამოვიდნენ ასევე ისრაელიდან, რუსეთიდან, თურქეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, შვედეთიდან, გერმანიიდან. კონგრესს სპეციალური ვიზიტით სტუმრობდა დონის როსტოვის ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაცია რექტორის, პროფესორ ბესარიონ მესხის მეთაურობით.

საერთაშორისო კონგრესი სამი წლის შემდეგ ისევ უმასპინძლებს ქართველოლოგიით დაინტერესებულ უცხოელ და ქართველ მეცნიერებს.

მოამზადა მაია ტორაძე

# სენატის წევრ სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ

თსუ-ის სენატის წევრ სტუდენტებს თსუ-ის ფაკულტეტების დეკანები და ადმინისტრაციული დეპარტამენტების ხელმძღვანელები შეხვდნენ. შეხვედრა იმ საკითხების განხილვას მიეძღვნა, რის გამოც სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა 20-21 ოქტომბერს საპროტესტო აქციები მოაწყვეს და რომელიც სტუდენტების დიდ ნაწილსაც აწუხებს — ეს არის ბაზების თემა, ელექტრონული საქმის წარმოების საკითხი, ინგლისური ენის სწავლებისა და ლექციების გაცდენის პრობლემები.

უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა, სენატის წევრმა შალვა საბაურმა თავის გამოსვლაში განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ელექტრონულ ბაზებთან დაკავშირებულ პრობლემებს და აღნიშნა, რომ ეს უკვე წლებია, რაც არსებობს. „ჩვენ ვერ გავარკვეით, საბოლოო ჯამში, ვინ არის დამნაშავე. IT-დეპარტამენტი ფაკულტეტებისკენ უთითებს და ამტკიცებს, რომ არ არის ტექნიკური ხარვეზები, რაც გასაკვირია, რადგან რეალობაში ამკარაა, რომ ბაზა ვერ უძლებს დატვირთვას და სტუდენტებს არ შეუძლიათ ერთდროულად საგნების არჩევა სახლიდან, ანუ ვერ კეთდება ის, რისთვისაც ეს ბაზა შეიქმნა. შევხვდით განათლების სამინისტროსთან ერთობლივად შექმნილი კომისიის წევრებს, სტუდენტებს, ბატონ სოსო სალუქვაძესაც და იქვე დაისვა საკითხი, რომ დაინერგოს წინასწარი რეგისტრაცია, რის შემდეგაც გაირკვევა — რომელ საგანზეა დიდი მოთხოვნები. ეს ბევრ პრობლემას გადაწყვეტს. ამავდროულად, აღარც ის იქნება საჭირო, რომ 22 ათასი სტუდენტი ერთდროულად შევიდეს ვებ-გვერდზე“, — აღნიშნა მან.

ბაზების საკითხზე რექტორმა განაცხადა, რომ წინასწარი რეგისტრაციის პრაქტიკა უკვე არსებობს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, სადაც რეგისტრაციის პრობლემა თითქმის არ არის. ამდენად, ამ ფაკულტეტის გამოცდილება გასაზიარებელია.

IT-დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილემ ნატო ჩუბინიძემ აღნიშნულ პრობლემაზე საუბრისას ხაზი გაუსვა, რომ 2015-2016 წლების შემოდგომის სემესტრიდან დაიწყო ახალი სასწავლო ბაზის ექსპლუატაცია, რომელიც ამ ეტაპზე მხოლოდ მაგისტრატურას მოიცავს. „იმ პრობლემების განაღდებას, რომლებიც რეალურად არსებობს და რომლის შესახებაც ინფორმაცია მოდის ადმინისტრაციაში, უნდა გავმიჯნოთ ტექნიკური და ადმინისტრაციული პრობლემები. როგორც IT-დეპარტამენტის წარმომადგენელი, გეტყვით, რომ sms.tsu-ე ვერ უძლებდა დატვირთვას 2013 წლამდე, მაგრამ მას შემდეგ უნივერსიტეტმა შეიძინა კარგი



აპარატურა, რომელიც განთავსდა სხვადასხვა სერვერზე. 2014-2015 წლების ორივე სემესტრი და 2015-2016 წლის პირველი სემესტრი ამ პროგრამამ იმუშავა და განსხვავება, ტექნიკური თვალსაზრისით, არ ყოფილა. ამიტომ უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან ადმინისტრაციული და ტექნიკური ხასიათის პრობლემები“, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ აქ ძირითადი პრობლემა არის საგნებზე ადგილების არარსებობა და არა ტექნიკური ხარვეზი. ხოლო ამის მოსაგვარებლად კი გამოსავალი წინასწარი რეგისტრაციაა.

ამავე საკითხზე აზრი გამოთქვა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა თამარ დოლბაიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ წინასწარი რეგისტრაცია, რომელიც ამ ფაკულტეტზე გასულ სასწავლო წელს საცდელად დაინერგა, წარმატებული ვერ გამოდგა, რადგან აღმოჩნდა, რომ რეალურად სამი ადამიანი არეგისტრირებდა 2500 სტუდენტს იმ ლექტორებთან, ვისთანაც მათ სურდათ. „ეს ლექტორები ტენდენციურად იყო შერჩეული და ემსახურებოდა იმას, რომ სტუდენტთა ეს ჯგუფი პოლიტიკურ თამაშებში აეყოლიებინათ. შედეგად, მაღალი დონის პროფესორების აუდიტორიები ნახევრად ცარიელი იყო, რადგან იმ კონკრეტულმა ადამიანებმა მათ ჯგუფებში სტუდენტები სპეციალურად არ ჩასვეს, სტუდენტთა დიდ ნაწილს კი ხელახლა მოუწია საგნების არჩევა. აქ ითქვა ისიც,

რომ ამ ლექტორებს სტუდენტები ირჩევდნენ ნიშნის ადვილად წერის პრინციპით. დაახლოებით 5-6 საგნები, რომლებზეც ადგილები არ შეესებოდა, რადგან ლექტორი ქულებს მკაცრად წერს ან არ არის კომუნიკაბელური და ვერ შედის სტუდენტებთან კონტაქტში“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ.

მანვე აღნიშნა, რომ მიმდინარე სემესტრში, სტუდენტთა რეგისტრაციის მხრივ, ფაკულტეტზე უკეთესი მდგომარეობა იყო, თუმცა გარკვეული პრობლემებიც გამოიკვეთა. კერძოდ, საგნების ნაკლებობა სხვადასხვა, მათ შორის, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულებაზე. „როდესაც გააანალიზეთ ყველა მონაცემი, აღმოჩნდა, რომ სემესტრში სტუდენტებისთვის 100-105 კრედიტის შეთავაზების მეტი საშუალება არ გვქონდა. ამიტომ გაფართოებული თათბირზე დავავალე მიმართულებებისა და პროგრამის ხელმძღვანელებს, რომ თითოეულმა მათგანმა 125 კრედიტი მაინც გამოიტანოს მომდევნო სემესტრისთვის, რასაც აუცილებლად მივაღწევთ“, — განაცხადა თამარ დოლბაიამ.

აქვე აღნიშნა აუდიტორიების ნაკლებობის თაობაზეც. როგორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა აღნიშნა, აუდიტორიების შესახებ ყოველ სემესტრის დასაწყისში მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვადასხვა ფაკულტეტების დეკანებთან, რათა მრავალრიც-

ხოვანი კურსებისთვის ტევადი აუდიტორია გამოიყოს.

პრობლემების გადაწყვეტის გზებზე ისაუბრა ასევე პრორექტორმა იოსებ სალუქვაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ სტუდენტს ნაკლებად აინტერესებს, რამ შეუშალა ხელი საგნის დარეგისტრირებაში. მან ჩააბარა უნივერსიტეტში და უნივერსიტეტი ვალდებულია, აარჩევინოს იმდენი საგანი, რამდენიც სჭირდება დადგენილ ვადაში სწავლის დასრულებისთვის. „ფაქტია, რომ არსებობს აკადემიური რეგისტრაციის პრობლემა და ეს უნდა მოგვარდეს. 5 წუთში და 10 წამში საგნის არჩევა არის სტრესული სიტუაცია. ვთქვათ, არ ვარ იმ წუთში იქ, ან რაღაცამ არ იმუშავა, ამიტომ საგნები ვერ უნდა ავირჩიო? უნდა მოინახოს ის გზა, რომელიც სტუდენტს კანონიერ მეთოდებს დაუკმაყოფილებს. იყოს ეს თუნდაც წინასწარი რეგისტრაცია და თუ ეს სადმე ვერ მოხერხდა ვინმე კონკრეტული პირის უპასუხისმგებლობის გამო, ფაკულტეტის ადმინისტრაციამ უნდა აღკვეთოს ასეთი შემთხვევები“, — აღნიშნა იოსებ სალუქვაძემ და აქვე დასძინა, რომ წინასწარი რეგისტრაცია მასაც ერთერთ გამოსავლად მიაჩნია, რადგანაც, მისი თქმით, ეს არის დაგეგმვის პროცესი, რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის აღმოფხვრას. მან ასევე დასვა კონკრეტული პრობლემის მოგვარებისთვის პასუხისმგებელი პირის გამოკვეთის საკითხიც: „თუ მოხდა ისე, რომ სტუდენტმა ვერ აირჩია საგანი, ხშირია შემთხვევა, როცა იგი ვერ პოულობს პასუხისმგებელ პირს, ვისთანაც ამ პრობლემას მოაგვარებს. ერთი მეორესთან უშვებს, მეორე - მესამესთან და ასე დაუსრულებლად, შედეგად კი სტუდენტი რჩება თავისი აურჩეველი საგნით და პრობლემით. ვფიქრობ, რომ ეს დიდი პრობლემაა და უნდა გამოინახოს პასუხისმგებელი ადამიანი მის მოსაგვარებლად“, — აღნიშნა მან, რასაც დაეთანხმა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, რომ ასეთი პრობლემის არსებობის შემთხვევაში დეკანი დახმარებას გაუწევს სტუდენტს.

ამავე საკითხზე აზრი გამოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ კომპიუტერული პროგრამა და აპარატურა, რომლითაც უნივერსიტეტი სარგებლობს, სრულყოფილებისგან შორსაა, მაგრამ უნდა დაიწყოს მუშაობა გაუმჯობესებისთვის, რათა გზადაგზა დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს სტუდენტის მომსახურება. მან ასევე აღნიშნა, რომ, თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციას და სასწავლო პროცესს, მათ შორის, საგნების არჩევას ან წინასწარ რეგისტრაციას, კონკრეტული პირი უშლის ხელს, ფაკულტეტმა უნდა გადაწყვიტოს,

80-11 გვირგვინი

# იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია

## თავარ დაღიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 27 ოქტომბერს, ქართველოლოგიური დარგების განვითარების ხელშეწყობის მიზნით, იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ქართველოლოგიის დარგში იაკობ გოგებაშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია დაწესდა, რომლის პირველი ლაურეატი პროფესორი გიორგი გოგოლაშვილი გახდა.

ღონისძიებას თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის პროფესორები, სტუდენტები, საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები ესწრებოდნენ.

თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას თქმით, კონფერენცია ორ წელიწადში ერთხელ გაიმართება: „უნივერსიტეტის დაარსებიდანვე პრიორიტეტული იყო ქართველოლოგიური მიმართულება. ამ მიმართულების წარმომადგენლები: იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი, კორნელი კეკელიძე უნივერსიტეტის დამფუძნებლებიც გახლდნენ, რომლებმაც ძლიერი ქართველოლოგიური სკოლა ჩამოაყალიბეს. ეს ტრადიცია უნივერსიტეტს არასდროს შეუწყვეტია. პრიორიტეტულია, რომ უნივერსიტეტში ეს მიმართულება ყოველთვის წინ იყოს წამოწეული. ჩვენი ინიციატივით, ქართველოლოგიაში შემოვიღეთ უკვე მეორე პრემია, რომელიც იაკობ გოგებაშვილის სახელს ატარებს. იაკობ გოგებაშვილი ყველა მოზარდის ცნობიერებაში დედადასთან ერთად შემოდის. იგი არის გასაღები იმისა, რომ ადამიანი თავისი პირველი ურთიერთობა ქართულ ენასთან, დამწერლობასთან ამ შესანიშნავი ქმნილებით დაიწყოს. ამიტომაც ვუნდოდით პრემიას დიდი ქართველი მამულიშვილისა და განმანათლებლის სახელი.

კომისიის გადამწყვეტილებით, ქართველოლოგიის დარგში ეს პრემია მიენიჭა გამორჩეულ ქართველ მეცნიერს, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილს. იგი ამ პრემიის პირველი ლაურეატია. ვიმედოვნებ, მსგავსი ღონისძიება უნივერსიტეტში ტრადიციად იქცევა“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიის პირველი ლაურეატის, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის თქმით, ქართველოლოგიური დარგების განვითარება ჩვენი უპირველესი საზრუნავია და დღეს ძალიან კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. „ჩემთვის დიდი ბედნიერება და პატივია, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია მხედრად ნილადა, რაც ქართული ენის სპეციალისტისთვის უმაღლეს ჯილდოს წარმოადგენს. მაღლობა უნდა გადაეფხადო ყველას, ვინც ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართული ენის კვლევებში ასეთი დიდი ჯილდოთი შეაფასა“.



პრემიის მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა ქართული ენაში ნაშრომა ციკლი წარმოადგინა, რომელიც 3 წინაგანს შედგებოდა: „ქართული სალიტერატურო ენა (ნარკვევები)“, „ქართული ენა (ხმათა ხავერდების და ლმერების ენა)“ და „სიბრძნე იაკობისა“. საპრემიო ნაშრომის ერთი ნაწილი იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს აღწერს ქართული ენისა და ქართველი ერის წინაშე, მეორე ნაწილი იმ პრობლემებზეა საუბარი, ქართული სალიტერატურო ენის წინაშე რომ დგას. მესამე ნაწილი კი იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებას გადმოგვცემს ქართული ენის მიმართ.

პროფესორმა გიორგი გოგოლაშვილმა კონფერენციაზე ნაიკითხა მოხსენება, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „დედაჩემი ჩვენ არ ვირჩევთ, იგი ბუნებით გვცდებოდა — ეს ღვთის ნებაა, ჩვენი დედაჩემი ქართულია — ესეც ღვთის ნებაა, ქართული ენის სპეციალისტი რომ ხარ კაცი — ეს ბედნიერებაა, ბედნიერება იხიც, რომ ქართველი კაცი ქართულ ენას ქართველს ასწავლის. მეც ნილადა მხვდა ეს ბედნიერება და მაღლობა თსუ-ს, რომ იაკობ გოგებაშვილის პრემია დააწესა და რომ ჩემი მოკრძალებული წვლილი ქართული ენის კვლევებში ამ ჯილდოთი შეაფასა.“

კარგა ხნის წინათ თქვა ვასილ ბარნოვმა: იაკობ გოგებაშვილი ჩვენი სინამდვილისთვის გაცვივით დიდი ადამიანი იყო, ვიდრე ეს წარმოდგენილი გვაქვს. ვერ ვიტყვი, რომ იაკობ გოგებაშვილი ბოლომდე გვაქვს შესწავლილი და მისი როლი და მნიშვნელობა გაცნობიერებულია“, — განაცხადა გიორგი გოგოლაშვილმა. იაკობის მოღვაწეობა — ეს იყო საფუძველი ქართული ეროვნული სკოლის დაფუძნებისა და ალორძინებისა. სწორედ იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეის ავტორი და ამ იდეის განხორციელების პრაქტიკული ხორც-შემსხმელი.

გიორგი გოგოლაშვილის თქმით: „იაკობმა მოღვაწეობა დაიწყო მაშინ, როცა მშობლიური ენა დევნილი იყო სკოლებში, არისტოკრატიას ერცხვინებოდა ქართულად ხმის ამოღება,

თავმოსწონად მიაჩნდა რუსულად ლაპარაკი, თითოეული ჩამოსათვლელი ინტელიგენცია რუსულად ფიქრობდა, რუსულადვე მეტყველებდა. ქართული ენის შესასწავლად ორგვერდინი ალბომი არსებობდა და აი, ასეთი განხილული დროს გამოდის იაკობ გოგებაშვილი თავისი დედა-ენით და ცდილობს მისი სახელმძღვანელოს საშუალებით სკოლებში ქართული ენა შევიდეს“.

გიორგი გოგოლაშვილმა ასევე საინტერესოდ ისაუბრა იაკობ გოგებაშვილის ღვაწლზე საქართველოს ეროვნული მთლიანობის განმტკიცების საქმეში: „გოგებაშვილმა უაღრესად რთული, ქართული ენობრივი სივრცის სწორი მეცნიერული ანალიზი მოახდინა. რუსეთის იმპერია ცდილობდა, საქართველოს ეროვნული მრავალფეროვნება ეროვნული მთლიანობის საწინააღმდეგოდ და სეპარატიზმის გასაღვივებლად გამოეყენებინა. სწორედ ამ დროს იაკობ გოგებაშვილი ქმნის ტერმინს „დედა ენა“ ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის, საღმრთო ენის, ქართველთა მთავარი ენის აღსანიშნავად. დედაენის მეშვეობით მან ხელი შეუწყო ქართველთა კონსოლიდაციას, ეს მოვლენა ცნობილია გერმანელმა ქართველოლოგმა ვინფრიდ ბოედერმა ასე შეაფასა: „იაკობ გოგებაშვილი გენოსი იყო იმ ვაგებით, რომ ზუსტ დროს სწორი სიტყვა იპოვა, ქართული ენის დაცვამ იმ დროს ასეთი ემოციური ცნება მოიტოვო. ქართველთა ეროვნული მთლიანობის განსამტკიცებლად და შესანარჩუნებლად იაკობ გოგებაშვილი სწორედ დედაენა შექმნა, ეს იყო უდიდესი დამსახურება იაკობ გოგებაშვილისა“, — აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა და სინანულით დასძინა, რომ იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო მეთოდური პრინციპების წყალობით, იმდროინდელმა ოთხკლასიანებმა ქართველმა ბავშვებმა უკეთ იცოდნენ ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, გეოგრაფია, ვიდრე დღევანდელმა საშუალო სკოლადამთავრებულმა იცის. „იაკობის სკოლაში დამკვიდრებული ეროვნულობა და სწავლობის ჩაიდა სწორედ უნივერსიტეტის საფუძველში და ის ფაქტი, რომ თსუ-მ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია დააარსა, ეს

არის მაღლიერების გამოხატვა ქართული ეროვნული სკოლის ფუძემდებლის მიმართ“, — აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

„სასიხარულოა, რომ იაკობ გოგებაშვილის 175 წლისთავს აღვნიშნავთ. ეს დღე ძალზე მნიშვნელოვანია ქართველი ხალხისთვის. გადაჭარბებული ნათქვამი არ იქნება, რომ, თუ არა იაკობ გოგებაშვილი და მისი თანამოაზრენი, ჩვენ დღეს ქართულ ენაზე ალბათ ვერ ვისაუბრებდით. იაკობ გოგებაშვილის სახით, ქართველ ერს ჰყავს მხსნელი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ კონფერენციაში მონაწილეობენ არა მხოლოდ მეცნიერები, არამედ საშუალო სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები, ასევე, უნივერსიტეტის სტუდენტები და დოქტორანტები“, — განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის პროფესორმა ქეთევან ჭყუასელმა.

კონფერენციის მეორე მომხსენებელმა, პროფესორმა თამაზ კარანაძემ თხოვნით მიმართა მასწავლებლებს, არ დაკარგონ ის საგანძური, რასაც იაკობ გოგებაშვილს პედაგოგიური მემკვიდრეობა ჰქვია: „ვერ შევცვლით ვერაფრით იმ სიბრძნეს, რასაც დედაჩემი გვაძლევს. ჩვენ დავცილდით იმ უდიდეს ზოგად პედაგოგიურ პრინციპებს, რასაც აღმზრდელი მთლიანობის სწავლების პრინციპი ჰქვია. ჩვენი სულიერება და ჩვენი წინაშეაღმდგომი დამოკიდებულება ვერ დგას თავისი სიმადლებით, ამიტომაც არის ის საფუძველი და სარკე, რომელსაც იმედით შევყურებთ“, — აღნიშნა თამაზ კარანაძემ, რომელმაც საინტერესოდ ისაუბრა დიდი ქართველი განმანათლებლის ღვაწლსა და დამსახურებაზე.

ღონისძიების მიზანი იყო აგრეთვე სტუდენტების, მასწავლებლების, მოსწავლეების ჩართულობის გაზრდა ქართველოლოგიის სამეცნიერო დარგში.

„ასეთი ტიპის სამეცნიერო კონფერენციები ხელს უწყობს ახალგაზრდების განათლების ხარისხის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ რაიონებიდან მსგავს ღონისძიებებში იშვიათად ერთვებიან საჯარო სკოლის მოსწავლეები. ამიტომ ვიტოვებ იმედს, რომ სამომავლოდ რეგიონების წარმომადგენელთა აქტივობა კონფერენციებში მნიშვნელოვნად გაიზრდება“, — აღნიშნა ფოთის 15 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლუკა კახანჯია.

ღონისძიების ფარგლებში თსუ-ის პროფესორებმა, დოქტორებმა, დოქტორანტებმა, მაგისტრებმა და მოწვეულმა მასწავლებლებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს, რომელიც ქართული ენის განვითარებაში იაკობ გოგებაშვილის ღვაწლს, მშობლიური ენის სწავლების პრობლემას, საქართველოს არაქართულენოვან სკოლებში ენისა და საგნის ინტეგრირებულ სწავლებას, ეროვნული სასწავლო გეგმის ხარვეზებსა და მათი დაძლევის გზებს ეხებოდა.

# ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტების ექსპედიცია გურიაში

მომავალი ეთნოლოგებისთვის ველზე მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ამიტომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის მიმართულების სტუდენტები ყოველწლიურად აწყობენ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და აუდიტორიაში შექმნილ თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ საქმიანობით იმდობენ. გასულ ზაფხულს სტუდენტებმა თსუ-ის ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელთან როლანდ თოფჩიშვილთან ერთად გურიაში იმოგზაურეს.

## შურისხა პაროქია

„ამგვარი სტუდენტური ეთნოგრაფიული ექსპედიციები ყოველ წელს ეწყობა, ძირითადად, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის, თუმცა, მათთან ერთად დოქტორანტები და ბაკალავრებიც იღებენ მონაწილეობას. წელს ჩვენი არჩევანი გურიაზე შევაჩერეთ, სადაც ძალიან საინტერესო მასალა შევგროვეთ. ჩვენი კვლევის საგანი იყო ამ კუთხის როგორც ძველი წეს-ჩვეულებები, ასევე თანამედროვე ყოფა, დღევანდელი ვითარება“, — აღნიშნა როლანდ თოფჩიშვილმა.

ეთნოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელის აზრით, ექსპედიციების მიზანი სწორედ ის არის, რომ სტუდენტმა ველზე მუშაობა ისწავლოს, რადგან მომავალში მას გაუადვილდეს სამეცნიერო საქმიანობა. „ეთნოლოგმა პირველ რიგში უნდა იცოდეს, როგორ უნდა მოიპოვოს მასალა, როგორ დაამყაროს მისობიდან ურთიერთობა, რაც ხშირად გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ მათთან კონტაქტის დროს განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. ჩვენს სფეროში ველზე ერთ კვირიანი გასვლა ხშირად მთელი სემესტრის ერთი კურსის გაკლის ტოლფასია. ექსპედიციის დროს სტუდენტებმა შეისწავლეს, რით ცხოვრობდა ძველი გურული გლეხი და რა დამოკიდებულება აქვთ მათ დღევანდელ ცხოვრებასთან. სამწუხაროდ, თანამედროვე გურული გლეხის



ყოფა მძიმეა, სოფლები გაღარიბებულია, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, როდესაც გურია საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი მხარე იყო, როდესაც ჩაის და ციტრუსის კულტურა მოჰყავდათ და ყველა დასაქმებული იყო. სტუდენტები ასევე ინტერესდებიან მასალას საოჯახო ყოფაზე, საქორწინო წეს-ჩვეულებებზე, გვარების ისტორიაზე, ძველ სამეურნეო ყოფაზე, მატერიალურ კულტურაზე, აგროეკოლოგიურ ფოტო-მასალას და სხვა“.

ექსპედიციის დროს მიღებული შთაბეჭდილებები სტუდენტებმაც გაგვიზიარეს.

## გიორგი აპთანდილაშვილი:

„25 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით ლანჩხუთის ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში ვიმოგზაურეთ. ამ 10 დღეში დიდი გამოცდილება დაგვიგროვდა და გურიიდან შთაბეჭდილებებით სავსე დაებრუნდით. ყველა სტუდენტს განაწილებული ჰქონდა სხვადასხვა საკვლევი თემა, რომლის შესახებ საკმაოდ საინტერესო მასალა მოვიძიეთ, პირველ რიგში კი კარგი პრაქტიკა მივიღეთ და კვლევის მეთოდები დაგვიჩვენა — ექსპედიციის ძირითადი მიზანიც ხომ სწორედ ეს არის. ველზე გასვლისას უკეთესად ვითვისებთ იმას, რასაც აუდიტორიაში ვსწავლობთ.“

## ირაკლი კახანაძე:

„ეს ექსპედიცია ძალიან დიდი გამოცდილება იყო ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის. ჩემი ინტერესის სფერო იყო ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათი, რადგან მომავალში ეთნოგრაფიული მასალის მიმართულებით ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. ჩვენ დავდიოდით გურულ ოჯახებში, ვეძებდით კოლორიტულ

ადამიანებს. სხვათა შორის, გურულ ხასიათში ბევრი გასათვალისწინებელი ფაქტორია — ძირითადად, ეს არის იუმორის გრძობა, რომელიც მათ ეხმარებათ პრობლემების გადალახვაში“.

## ლუკა კარანაძე:

„ჩემი ძირითადი კვლევის საგანი იყო ტომონიმები და ონომასტიკური მასალა, ასევე, მეტსახელები. გურულენოვან მართლაც საინტერესო შერქმეული მეტსახელები აქვთ. ტომონიმებიც ბევრი ჩავეჩერეთ. ძალიან საინტერესო იყო ამ მშვენიერ კუთხეში ჩვენი მოგზაურობა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა ლიხაურში, ექვთიმე თაყაიშვილის სოფელში სტუმრობა. ჩვენმა ხელმძღვანელმა როლანდ თოფჩიშვილმა თავიდანვე დაგვაცხადებინა, რა მიმართულებით უნდა გვემუშავა. გურიაში მოგზაურობა თითოეული ჩვენგანისთვის დაუფიქრებელი იყო“.

როლანდ თოფჩიშვილის ინფორმაციით, წლის ბოლოს სტუდენტები საქსპედიციო ანგარიშებს სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოადგენენ.



# რომელ გაცვლით პროგრამებზეა გამოცხადებული კონკურსი

**თ**სუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ 2015-2016 სასწავლო სემესტრებში გაცვლითი პროგრამების სტიპენდიების მოსაპოვებლად კონკურსი გამოცხადებულია და ეს ეხება ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტებსა და, ასევე, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. ევროკომისიის მიერ დაფინანსებული „ერასმუს+“ პროგრამის ფარგლებში კონკურსი ევროპის 25 უმაღლეს სასწავლებელშია გამოცხადებული, ესენია: ვიადრინას ევროპული უნივერსიტეტი (გერმანია), იენის უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), კილის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), ვენეციის კა'ფოსკარის უნივერსიტეტი (იტალია), რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტი (იტალია), პავიას უნივერსიტეტი (იტალია), ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი (ბელგია), კორუნას უნივერსიტეტი (ესპანეთი), გრონინგენის უნივერსიტეტი (ჰოლანდია), ოსტფოლდის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ნორვეგია), ტურკუს უნივერსიტეტი (ფინეთი), ჰელსინკის უნივერსიტეტი (ფინეთი), პორტო უნივერსიტეტი (პორტუგალია), ბრაგანზას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (პორტუგალია), კომენიუსის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი), მატეი ბელის უნივერსიტეტი (სლოვაკეთი), ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი), ლატვიის უნივერსიტეტი (ლატვია), ლოდის უნივერსიტეტი (პოლონეთი), ვარნას მეჩეჟმენტის უნივერსიტეტი (ბულგარეთი), იაშის უნივერსიტეტი (რუმინეთი), იოანინას უნივერსიტეტი (საბერძნეთი), ფათიჰის უნივერსიტეტი (თურქეთი), ფედერიკის უნივერსიტეტი (კვიპროსი).

სტიპენდიები გამოცხადებულია თსუ-ის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებშიც, ესენია: ზაარლანდის უნივერსიტეტი (გერმანია), მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი), პრატის კარლოსის უნივერსიტეტი, ტარტუს უნივერსიტეტი, ლატვიის, სალერნოს, ვილნიუსის (ლიტვა), ვიტაუტას მაგნის, ვარშავის უმაღლესი სასწავლებლები და პეკინის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

თსუ-ის ვებ-გვერდზე გაცვლითი პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაციაა განთავსებული. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სიახლებს სოციალური ქსელების მეშვეობითაც ავრცელებს. სტიპენდიების შესახებ ინფორმაცია საფაკულტეტო ადმინისტრაციებსაც ეგზავნებათ და მათ ვებ-გვერდზე თავსდება. კონკრეტულად, რას სთავაზობს თსუ სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით, ამის თაობაზე თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილეს მანია მინთიშაშვილს ვესაუბრეთ.

## ნათო მბოლაძე

— ქალბატონო მანია, რომელ გაცვლით პროგრამებზეა გამოცხადებული კონკურსი და ვის შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება?

— თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს კონკურსი გამოცხადებული აქვს 2016 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის სემესტრისთვის „ერასმუს+“ პროგრამის ფარგლებში. სტიპენდიები არის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტებისთვის. ასევე, კონკურსის გავლის შემდეგ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება შეუძლია თსუ-ის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს. უცხოური უნი-

ვერსიტეტების მიერ შემოთავაზებული სტიპენდიები თითქმის ყველა ფაკულტეტისთვის არის შემოთავაზებული. უმეტესი ნაწილი მოდის ინგლისურენოვან პროგრამებზე, თუმცა არის იტალიურენოვანი, ესპანურენოვანი და გერმანულენოვანი სასწავლო პროგრამებიც. ერასმუს+ ფარგლებში შემოთავაზებული სტიპენდია მოიცავს საერთაშორისო მგზავრობის დაფინანსებას, ასევე, დღიური და საცხოვრებელი ხარჯის ანაზღაურებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თსუ-ს პარტნიორ უნივერსიტეტებთან ორმხრივი პარტნიორობის ფარგლებში სამივე საფეხურის სტუდენტებისთვის შემოთავაზებულია 2016-2017 სასწავლო წლის ინგლისურენოვანი, გერმანულენოვანი და იტალიურენოვანი სტიპენდიები.



— გაცვლითი პროგრამებისთვის შესარჩევ კანდიდატების კონკურსი რატომ იწვევს ინტერესს?

— პირველი ეტაპი უცხო ენაში ტესტირებაა, რომლის გადალახვის შემდეგ სტუდენტების შერჩევა ადმინისტრაციული აქტით დამკვიცბული საკონკურსო კომისიის მიერ ხდება. მეორე ეტაპზე გადასული სტუდენტების შეფასება ხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: აკადემიური მოსწრება, მოტივაცია და ზეპირი გასაუბრება. სტუდენტებს განაცხადის შემოტანა რამდენიმე უცხოური უნივერსიტეტისთვის ერთდროულად შეუძლიათ. ასეთ შემთხვევაში ისინი უთითებენ პრიორიტეტულ უმაღლეს სასწავლებელს. ასევე, კონკურსის შედეგად ყოველთვის ვაკეთებთ სარეზერვო სიას და, ცვლილების შემთხვევაში, აღნიშნულ სიაში მოხვედრილ სტუდენტებს სტიპენდიის მიღების საშუალება აქვთ.

— თითოეულ შემოთავაზებულ უნივერსიტეტში ადგილების რაოდენობა განსხვავებულია?

— ორმხრივი პარტნიორობის ფარგლებში 40-ზე მეტი სტიპენდიაა. „ერასმუს+“ პროგრამაში კი 165-ზე მეტი სტიპენდია გვაქვს. „ერასმუს+“ პროექტის ფარგლებში თსუ-ს საკმაოდ ბევრი განაცხადი აქვს შეტანილი. დაფინანსების შესახებ ინფორმაციას ეტაპობრივად ვიღებთ. ვიმედოვნებთ, სტიპენდიების რაოდენობა კიდევ გაიზრდება.

— სტუდენტების ინტერესი რამდენად მაღალია?

— გაცვლითი პროგრამის ფარგლებში შემოთავაზებული სტიპენდიების მოსაპოვებელი კონკურსი ყოველთვის საკმაოდ მაღალია. წელს 900-მდე სტუდენტი დაარეგისტრირდა, რომელთა უმეტესობამ წერილი ეტაპი წარმატებით გადალახა. შემდეგი ეტაპი ზეპირი პრეზენტაციაა, როგორც წესი, ერთ ადგილზე სტიპენდიის მოსაპოვებლად სამი-ოთხი აპლიკანტია წარმოდგენილი. ამასთან ერთად, იღებენ გამოცდებს და იძენენ სხვადასხვა უნარებს: მაგალითად, კონკურსისთვის ფსიქოლოგიური მზაობა, საკუთარი თავის წარმოჩენა, სამოტივაციო წერილის დაწერა და ა.შ.

— რაც შეეხება საკონკურსო კომისიას, წევრების შერჩევა როგორ ხდება?

— საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი სტუდენტების შერჩევის პროცესში არ მონაწილეობს, მხოლოდ ადმინისტრირებას უწევს. საკონკურსო კომისიის წევრების კანდიდატურების წარდგენა ფაკულტეტების დეკანების მიერ ხდება. ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებულ საკონკურსო კომისიის შემადგენლობა თსუ-ის ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

— პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, თსუ რამდენ სტუდენტს იღებს?

— ბუნებრივია, უფრო მეტს ვგზავნით საზღვარგარეთ. ევროპული უნივერსიტეტები თსუ-ის სტუდენტებს მრავალფეროვან უცხოენოვან პროგრამებს სთავაზობენ. თსუ-ში უცხოელ სტუდენტებს ვიღებთ ეკონომიკის სკოლაში, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ცენტრში, ევროპული კვლევების მიმართულებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის ინსტიტუტში. საქართველოში, ძირითადად, ჩამოდიან ის სტუდენტები, რომლებსაც გარკვეული პროფესიული ინტერესი აქვთ საქართველოს ან კავკასიის რეგიონის კვლევის მიმართულებით. უცხოელ სტუდენტებს თსუ-ის უცხო ენების ცენტრი ქართული და რუსული ენის კურსებს სთავაზობს.

მიმდინარე აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 20 უცხოელი სტუდენტი სწავლობს.

## შეხვედრა მემორანდუმის ფარგლებში



**კ**ონფლიქტი ჩვენი ხშირად ასოცირდება ომთან, თუმცა, ნებისმიერმა კონფლიქტოლოგმა იცის, რომ ომი და ღია დაპირისპირება უმეტესად არასწორად მართული კომუნიკაციის შედეგია, რომელიც ღია კონფრონტაციამდე მივიდა. როგორ მოვახდინოთ კომუნიკაციის სწორი მენეჯმენტი და როგორ უნდა ავიცილოთ თავიდან გართულებები და დაპირისპირება? რა საფრთხეები ემუქრება საქართველოს შიდა და გარე პოლიტიკაში? — ამის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის წარმომადგენლები უნივერსიტეტში მოწვეულ გიორგი ანუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის მსმენელებს ესაუბრნენ.

საჯარო ლექცია უნივერსიტეტსა და სერჟანტთა მომზადების ცენტრს შორის დადებული მემორანდუმის ფარგ-

ლებში გაიმართა. ამავე მემორანდუმით, ცენტრს მანამდე თსუ-ის სტუდენტები სტუმრობდნენ. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სერჟანტთა ცენტრის მსმენელთა შორის უნივერსიტეტის არა ერთი კურსდამთავრებულია, რომლებმაც კარიერის გაკეთება თავდაცვის სფეროში გადამწყვიტეს.

ქვეყნის უსაფრთხოების და რისკების საკითხებზე კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გუგული მალარაძემ ვრცლად ისაუბრა და იმ სტრატეგიებს შეეხო, რომლებიც დიპლომატიურ, სამხედრო და პერსონალურ ურთიერთობებში გამოიყენება ღია კონფლიქტების პრევენციისთვის.

სერჟანტთა შორის ახალგაზრდა ქალბატონებიც იმყოფებოდნენ, რომლებიც განსაკუთრებული ინტერესით ისმენდნენ კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული შესაძლებლობების შესახებ პრო-

ფესორ გუგული მალარაძის საჯარო ლექციას.

პროფესორ გუგული მალარაძის თქმით, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში თსუ-ის წარმომადგენლები მუდმივად თანამშრომლობენ სერჟანტთა მომზადების ცენტრთან, ტარდება ლექციები და სემინარები კონფლიქტოლოგიის საკითხებზე. კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობა სერჟანტებს დაეხმარებათ საბრძოლო გადამწყვეტილებების მიღებაში და ქვეყნის თავდაცვითი საკითხების გააზრებაში. თავის მხრივ, სტუდენტებიდანაც ჩანს ძალიან დიდი დაინტერესება სამხედრო საქმის მიმართ და ბევრი მათგანი იყენებს შესაძლებლობას — ესტუმროს სერჟანტთა მომზადების ცენტრს და ადგილზე გაეცნოს მათი მომზადების პროცესს.

ამჟამად სერჟანტთა მომზადების ცენტრში რიგით მეშვიდე სამეთაურო-სამტაბო კურსი მიმდინარეობს და სასწავლო პროგრამაში შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის 32 სერჟანტი მონაწილეობს, რომელთა შორის 5 ქალია.

მომზადებისას სერჟანტები უსაფრთხოების ოპერაციებისა და საბრძოლო გადამწყვეტილებების მიღების უნარებს ეუფლებიან.

ცენტრი თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება და მას საქართველოს ეროვნული გმირის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისას დაღუპული კაპრალის გიორგი ანუხელიძის სახელი 2013 წელს მიენიჭა.

## მომზადა ლელა კურდღელაშვილი



# ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჟურნალში

ნათო მგომლაძე

1970-იანი წლების შემდეგ, პირველად, ქართულ-ოსური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჟურნალში“ გაიმართა. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მეცნიერები, ახალგაზრდა მკვლევრები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კონფლიქტოლოგები, ექსპერტები, ჰუმანიტარული და სოციალურ-პოლიტიკური დარგების მკვლევრები. მათ შორის გახლდნენ ვლადიკავკაზის უმაღლესი სასწავლებლებიდან მონაწილე პროფესორები და სტუდენტებიც. სამეცნიერო ღონისძიებას, ასევე, ესწრებოდა პოლიტიკური ანალიტიკოსი ფაბრისი ველმინი, რომელიც საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიით იმყოფებოდა.

„ფორუმი, რომელსაც ორგანიზებას უწევს ქართულ-ოსური ურთიერთობათა სამეცნიერო ცენტრი, დიდი ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგანაც მასში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე, ოსი და სხვა ერების წარმომადგენლებიც. ამ ღონისძიებას, წმინდა საგანმანათლებლო ფუნქციის გარდა, მეგობრული ურთიერთობების აღდგენაც ეკისრება. ჩვენ — ქართველებს და ოსებს გვქონდა ძალიან ბევრი საერთო, რაზეც ისტორიული ქრონიკები მეტყველებენ. დღეს კი აღდგება და გაგრძელდება ის ურთიერთობები, რომელსაც ჩვენი დიდი მეცნიერები, მწერლები და მოამბეები უჭერდნენ მხარს“, — განაცხადა თსუ-ის ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დირექტორმა ნაირა ბეჰიევიმ.

„კონფერენციაზე ვისაუბრეთ, მაგრამ იმდენად მალაღობრივი დონე გახლდათ, რომ ეს საკითხი ჯანსაღი დისკუსიის რეჟიმში განვიხილოთ. ერთმანეთს რაღაცაში ვეთანხმებით, რაღაცაში — არა. გაუცხოების მომენტი არ ყოფილა. ორივე მხარე ჩვენი ისტორიული ერთობა ძალიან კარგად ვიცით. მეგობრული შეხვედრა იყო. ამ კონფერენციის ფარგლებში პირველად შეხვდით ერთმანეთს ოს ახალგაზრდა დოქტორანტებს. ვისაუბრეთ აკადემიურ თანამშრომლობაზე. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით ეს პროცესი მალე დაიწყოს. გვაქვს იდეები და, იმედია, ამ იდეებს უახლოეს მომავალში განვახორციელებთ. ჩვენი კვლევის ინტერესში შედის არქიტექტურა, კონფლიქტები, ფსიქოლოგია, ჟურნალისტიკა, კულტურა. ჩვენი კვლევები ერთი მიმართულებით მიდის, რადგან ვცდილობთ, გამოვიკვლიოთ ადგილობრივი მდ-



გომარეობა და ინოვაციები შემოვიტანოთ. ქართულ მხარესთან ურთიერთობას მათი განათლებისა და კარიერისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს“, — აღნიშნა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის დოქტორანტმა ამირან ახალაძემ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაატა ზაქარეიშვილის თქმით, თანამედროვე კონტექსტში ქართულ-ოსური ურთიერთობებს ბევრი ღონისძიება არ ეთმობა, რაც სამწუხარო ფაქტია. „ამიტომ, მივსალმები ამ ინიციატივას და ვთვლი, რომ ამ ტიპის კონფერენციები უნდა გაიმართოს და ქართულ საზოგადოებაში ჩამოყალიბდეს ქართულ-ოსური ურთიერთობების ახლებური ხედვა. ჩემთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა ამ ღონისძიებაში მონაწილეობა“, — აღნიშნა პაატა ზაქარეიშვილმა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში წარმოქმნილმა კონფლიქტებმა ქართულ-ოსური ურთიერთობები განსაკუთრებულად დააზარადა. 2008 წლის აგვისტოს ომმა კი ისედაც დამორღვევებული ხალხები ერთმანეთისგან გათიშა. კონფლიქტის შემდგომ ნდობის აღდგენისა და ნდობის მშენებლობის კუთხით განსა-

კუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო დიალოგი, ინტერდისციპლინური ფორუმი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჟურნალში“ ქართულ-ოსური ურთიერთობების ახალ ეტაპზე გადასვლის და თანამედროვე ინტერდისციპლინური ერთობლივი კვლევების განხორციელების მიზნით გაიმართა. კონფერენცია ქართულ-ოსური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით განხორციელდა.

„კონფერენცია ქართულ-ოსური ურთიერთობების ფართო ასპექტში შესწავლას გულისხმობს. ეს არის როგორც თანამედროვეობა, ასევე ისტორია, ლიტერატურული-ლინგვისტური და ფოლკლორული ურთიერთობები. კონფერენციაზე ორი კულტურის თანხვედრი ნერტილები წარმოჩინდა. კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ, რომ ეს ორი ხალხი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და მომავალშიც ასე იქნება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს საკითხები დღესაც აქტუალურია და ახალგაზრდებს აინტერესებთ, რაც ამ კონფერენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი შედეგია“, — გა-

ნაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ.

ქართულ-ოსურ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე რამდენიმე თემატური მიმართულება მუშაობდა: ლიტერატურა, ენათმეცნიერება, ისტორია, რელიგია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, კულტურის კვლევები, ფოლკლორი, ხელოვნებათმცოდნეობა, ეკონომიკა, კონფლიქტები, გენდერის კვლევები, ადამიანის უფლებები და მიგრაცია. შესაბამისად, წარმოდგენილი მოხსენებებიც აქტუალურ საკითხებს შეეხებოდა: ქართულ-ოსური ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის, პროფესორ ნაირა ბეჰიევის კვლევა — „გიორგი ახვლედიანი და ოსური საზოგადოება“, პროფესორ თამარლან გურიევის „ქართულ-ოსური ურთიერთობების ისტორიიდან“, პროფესორ გიორგი ოთხმეზურის — „შიდა ქართლი — ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის განუყოფელი ნაწილი“, პროფესორების ჰასან მაერსულტანოვის, ისლამ გაჩაევის და რიზვან გაითურქაევის — „ჩრდილოეთ კავკასიაში ტურიზმის განვითარების თანამედროვე კონცეფცია ქართველი მეცნიერების წარმატებების გათვალისწინებით“ და ა.შ.

„ეს კონფერენცია მართლაც მნიშვნელოვანია. საჭიროა, ერთმანეთს რაღაც გავაგებინოთ. ოსური ყოველთვის აინტერესებდა ჩვენს ხალხს. გიორგი ახვლედიანმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა და ამ ენის შესწავლა მსოფლიო არენაზე გაიყვანა. ვასილი აბაევი კარგ ურთიერთობაში იყო ქართველ მეცნიერებთან და მის ნაშრომებში ქართულისა და ოსურის ურთიერთობის შესახებ საკმაოდ ბევრი რამ არის ნათქვამი. მუშაობა, რომელიც უნივერსიტეტის დაარსებისთანავე იყო დაწყებული, აუცილებლად უნდა გაგრძელდეს. ამას მოითხოვს ჩვენი ყველანაირი ინტერესი - მეცნიერული და აგრეთვე მეზობლურიც, რათა ჩვენს მეზობლებთან მშვიდობიან და კარგ ურთიერთობაში ვიცხოვრობოთ“, — განაცხადა აკადემიკოსმა მზექალა შანიძემ.

ქართულ-ოსური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „ქართულ-ოსური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები თანამედროვე ჟურნალში“ 13-15 ოქტომბერს გაიმართა. ღონისძიება ლავოდეხში ვიზიტით დასრულდა, სადაც კოსტა ხეთაგურის 153 წლის იუბილე აღინიშნა. უახლოეს მომავალში კონფერენციაზე წარმოდგენილი კვლევები კრებულად გამოიცემა და აკადემიურ წრეებში გავრცელდება. ორგანიზატორები გეგმავენ, რომ ქართულ-ოსური საერთაშორისო კონფერენცია ტრადიციული გახდეს და მის მუშაობაში ცხინვალის უნივერსიტეტის პროფესორა და სტუდენტებიც ჩაერთონ.

## სტუდენტურმა თვითმმართველობამ ახალი პროექტი დაიწყო



თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ ახალი პროექტი დაიწყო. ტრენინგ-სემინარები გენდერული თანასწორობის თემაზე 9 ნოემბრიდან 20 ნოემბრამდე გაგრძელდება. პროექტის მიზანია დაგეგმილ ტრენინგ-სემინარებზე სტუდენტებისთვის ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის ცნებასა და მის ასპექტებზე ცოდნის გაღრმავება, დღესდღეობით არსე-

ბულ ვითარებასა და გენდერის ინსტიტუტის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე ზრუნვა, ტრენინგებზე მიღებული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზებისთვის ხელშეწყობა, სხვადასხვა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სტუდენტთა დაახლოება და ახალგაზრდული აქტივობების წახალისება. ამ დროისთვის, წარმოდგენილი აპლიკაციების საფუძველზე, უკვე შერჩეულია 90 სტუდენტი, რომლებიც გენდერული თანასწორობის თემაზე ტრენინგებს გაივლიან.

„სტუდენტები რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით შევარჩიეთ. უპირატესობა მიენიჭათ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის იმ სტუდენტებს, რომლებსაც მდიდარი აპლიკაცია ჰქონდათ წარმოდგენილი და ვისაც გენდერის საკითხები აინტერესებდა. გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოში საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია. გარკვეულწილად, შიშსაც იწვევს ისეთი სიტყვების ხსენება, როგორებიცაა — ფემინიზმი, გენდერი. საზოგადოების ნაწილი ცუდ კონტექსტში განიხილავს ამ საკითხებს და ეს იმის ბრალია, რომ ამ მიმართულებით სათანადო განათლება არ აქვთ. ჩვენთან პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც მოვიდნენ სტუდენტები და გვითხრეს — სურთ ქალთა უფლებების დაცვის ორგანიზაციის ჩამოყალიბება და დაამატეს ხაზგასმით,

რომ ფემინისტები არ არიან. როდესაც ავუხსენი, თუ რას ნიშნავდა ფემინიზმი, გაუკვირდათ და აღნიშნეს — ჩვენც ფემინისტები ვყოფილართო. სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი, თუნდაც საეკლესიო წრიდან, ფემინიზმს ცუდ კონტექსტში განიხილავს, მას ალიქვამს კაცთმოძულეობად. ეს ნამდვილად არ არის ასე. ამ ტრენინგის ჩატარების მთავარი მიზანიც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით სწორი ინფორმაციის გავრცელებაა“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ბახტურიძემ.

ტრენინგების ფარგლებში სტუდენტები ლექცია-სემინარებს ხუთ თემაზე მოისმინენ, ესენია: ქართული ფემინიზმის ისტორია, მითები და რეალობა გენდერულ თანასწორობაზე საქართველოში, ხელოვნების ისტორიის უხილავი გენდერული მხარე, გენდერი, შეიარაღებითი კონფლიქტი და იძულებითი მიგრაცია, გენდერული კვოტა და ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა. ტრენინგებს ჩაატარებენ: თამარ საბუღაშვილი (გაეროს ქალთა განვითარების ფონდის მრჩეველი საქართველოში), თონა ყუფუნია (ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის-NDI საქართველოს ოფისის პროგრამის ოფიცერი), იდა ბახტურიძე (გენდერის სპეციალისტი, ფემინისტების დამოუკიდებელი ჯგუფის წევრი), ნარგიზა არჯვანიძე (თსუ-ის გენდერის კვლევის ცენტრის წარმომადგენელი), თამაზ მელაშვილი (მწერალი, გენდერის სპეციალისტი), სალომე ცოფურაშვილი (გენდერის მკვლევარი), ნინო ჯავახიშვილი (გენდერის მკვლევარი), ქეთა ჩხეიძე (გენდერის მკვლევარი). დასკვნით ეტაპზე გენდერულ საკითხებთან დაკავშირებული ფილმის ჩვენება და დისკუსია გაიმართება.



სტუდენტური თვითმმართველობის პროექტი, ასევე, ჩართულები არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: WEDC; CSS და თსუ-ის გენდერის კვლევის ინსტიტუტი.

ნათო მგომლაძე



# გიორგი გოგობაშვილი — იაკობ გოგებაშვილის პრემიის პირველი ლაურეატი

მომავალ წელს ნახევარი საუკუნე შესრულდება მას შემდეგ, რაც პროფესორმა გიორგი გოგობაშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზღურბლს გადმოაბიჯა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე ქართული და კავკასიური ენების შესწავლა დაიწყო. ამ საქმეს დღემდე განაგრძობს. მისი სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულება ქართული გრამატიკა და დიალექტოლოგიაა. დაწერილი აქვს რამდენიმე მონოგრაფია და, საერთო ჯამში, 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 20-მდე წიგნისა და წიგნაკის ავტორია. სამეცნიერო საქმიანობა ახალი ქართული ენის კათედრაზე ასისტენტობიდან დაიწყო: იყო მასწავლებელი, დოცენტი, პროფესორი, კათედრის გამგის მოადგილე, შემდეგ - ძველი ქართული ენის კათედრის გამგე. დღემდე არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა, უნივერსიტეტში კი — რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი და მონვეული ლექტორი.

ქართული ენის კვლევის პარალელურად გიორგი გოგობაშვილის ინტერესის საგანი იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და საქმიანობის შესწავლაა. წელს, 27 ოქტომბერს, დიდი ქართველი პედაგოგისა და განმანათლებლის დაბადებიდან 175 წლისთავზე, უნივერსიტეტის მიერ პირველად გაიცა გოგებაშვილის სახელობის პრემია, რომლის ლაურეატიც გოგებაშვილის საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი გოგობაშვილი გახდა, რომელიც იაკობ გოგებაშვილის საქმიანობას წლებია სწავლობს და დიდი განმანათლებლის მემკვიდრეობის ერთ-ერთი ყველაზე გულმხურვალე დამცველია.

— ქართული განათლების სისტემის საფუძველი სწორედ იაკობ გოგებაშვილია შექმნილი. ილია ჭავჭავაძის სამ ლტოლვილი საუნჯეს: მამული, ენა და სარწმუნოება - გოგებაშვილი დაამატა ეროვნული სკოლა და მას ეროვნების ბურჯი უწოდა. შესაბამისად, იაკობმა შექმნა ისეთი სახელმძღვანელოები ეროვნული სკოლისთვის, რომ იგივე „დედაენა“ დღესაც არის და ყოველთვის იქნება შეუცვლელი, რადგან ეს არის უნიკალური მოვლენა როგორც ქართულ, ისე მსოფლიო პედაგოგიკაში. შეგახსენებთ, რომ 1960 წელს ვენესუელაში მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების გამოცენა-კონკურსზე გოგებაშვილის ნერა-კითხვის სწავლების მეთოდმა გაიმარჯვა და პირველი ადგილი მოიპოვა. იაკობ გოგებაშვილი, ძირითადად, ეროვნული სკოლის საკითხზე მუშაობდა. მას ეკუთვნის ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების იდეა, რომელმაც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ყველა ეკლესიასთან შექმნა სამრევლო სკოლები, სადაც ქართული ენა ერთი და იმავე სახელმძღვანელოთი ინსაველებოდა. სწორედ ამ სკოლებისთვის შექმნა გოგებაშვილი „დედაენა“ და სხვა სახელმძღვანელოები.

ოთხნობიანი სამრევლო სკოლაში პირველი ორი წელი „დედაენით“ ისწავლებოდა, მესამე-მეოთხე კლასში — „ბუნების კართით“. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და პროგრამის დამსახურებით იმ დროს ოთხკლასიანი სასწავლებლებმა ბავშვმა გაცილებით უკეთესად იცოდა ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, ვიდრე დღევანდელმა სკოლადამთავრებულმა. გოგებაშვილიმ ასევე განსაზღვრა ქართველი ბავშვებისათვის უცხო ენის სწავლების პრინციპები და შექმნა რუსულის სახელმძღვანელო „რუს-სკოე სლოვო“. გოგებაშვილიმ ჯერ შექმნა „დედა ენა“, შემდეგ „რუს-სკოე სლოვო“. მას მიაჩნდა და სწორედ იყო, რომ ქართველმა ბავშვმა უცხო ენა ქართულ გარემოში უნდა ისწავლოს და არა იმ გარემოს მიხედვით, რომელიც მისთვის უცხოა როგორც სიტუაციურად, ისე მენტალურად. ქართველმა ავტორმა სახელმძღვანელო უნდა მიიღება და სწორედ, რომელიც ბავშვმა მიიღო მშობლიურ ენაზე. გოგებაშვილიმ ასევე შექმნა სახელმძღვანელოები მათემატიკასა და რელიგიისთვის. თუმცა, რადგან ქართულ სკოლაში ქართველი ბავშვი არ იყო მხოლოდ ქრისტიანი მართლმადიდებელი, რელიგიის სწავლება არ იყო სავალდებულო ყველასთვის.

— რამდენად გამოიყენება გოგებაშვილის მეთოდოლოგია დღევანდელ სწავლებაში და სახელმძღვანელოების შექმნის დროს?

— საბედნიეროდ, იაკობ გოგებაშვილიმა მოქმედა ქართული ენის სწავლების ის გზა, რომელიც ყველაზე მორგებული აღმოჩნდა ჩვენზე. როცა იაკობი გამოვიდა ასპარეზზე, უკვე არსებობდა ათამდე სხვადასხვა სახელმძღვანელო ქართული ნერა-კითხვის შესასწავლად. მერვე ბევრი შეიქმნა, მაგრამ „დედაენას“ კონკურენციას ვერ უწევს, რადგან, ჩემი აზრით, ყველაზე დიდი აღმოჩენა ქართული კულტურის ისტორიაში, ეს იყო პირველი საანბანე გაკ-

ვეთილად აი ია-ს შემოტანა. როცა იაკობ გოგებაშვილის საზოგადოება გამოვიდა ინიციატივით, „დედაენას“ მინიჭებოდა კულტურული ძეგლის სტატუსი, სწორედ ამაზე აიგო ჩვენი მსჯელობა: გოგებაშვილის მეთოდი ნერა-კითხვის სწავლებისა არის უნიკალური. ჩვენი მოსაზრება გაცანით კულტურის სამინისტროს, რომელმაც ეს ინიციატივა განიხილა და 2013 წელს გოგებაშვილისეულ ნერა-კითხვის სწავლების მეთოდს მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი. შემდეგ კულტურის სამინისტრომ აღძრა შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა ამ ძეგლისთვის განესაზღვრა ეროვნული კატეგორია და, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიას შიშის ხელმოწერით, 2014 წელს გამოვიდა დედენილება, რომლითაც ი. გოგებაშვილის „დედაენას“ არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის ეროვნული კატეგორია მიენიჭა. ამ ფაქტმა უკვე შეუქმნა პრობლემა გარკვეულ ჯგუფებს, კერძოდ: ამჟამად სამი სახელმძღვანელოა ქართულ სკოლაში. ამ მიზეზს ჰქვია „დედაენა“ და არც ერთი ავტორად გოგებაშვილი არ იხსენიება. რა ხდება იცით? იღებენ წიგნს, შეცვლიან ერთ-ორ ელემენტს და ამის შემდეგ აცხადებენ თავს ავტორებად. ვალი რომ მოხადონ გოგებაშვილის წინაშე, მიანერენ ხოლმე სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილის მიხედვით. ფაქტობრივად, ხდება გოგებაშვილის ძარცვა. ზოგი ავტორი კი სრულიად განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებს ნერა-კითხვის შესასწავლად, მაგრამ, იყო შემთხვევები, როდესაც მასწავლებლებს შუა სწავლებისას მოუხდათ სახელმძღვანელოს შეცვლა და კვლავ გოგებაშვილის მეთოდთან დაბრუნება.

ეს მეთოდი ქართული ენის ბუნებაზე მორგებულია. ავტორთა ნაწილი კი უცხოური მეთოდოლოგიით სარგებლობს. იქ კი რაც ხდება, მოგეხსენებათ: ერთი ბგერა შეიძლება გადმოიცავს ორი ან სამი ასოთი, ან ერთი და იგივე ასო სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვაგვარად შეიძლება იკითხებოდეს. ქართულს ეს პრობლემა არა აქვს. თვითონ გოგებაშვილი ამბობდა: ჩვენ უნიკალური ენა გვაქვს, რასაც ვამბობთ, იმას ვნერთ და რასაც ვნერთ, იმას ვკითხულობთ. აი ია-ს მიგება ჩემს ოსტატობას კი არა, ქართული ენის ბუნებას და მის უნიკალურობას უნდა მივანეროთ. ენის ბუნებას ზუსტად არის მორგებული ეს სახელმძღვანელო და ამიტომ იაკობის „დედაენა“ უნდა დაბრუნდეს ქართული სკოლაში.

— თუმცა, ალბათ, ბევრი რამ მაინც შეცვლას მოითხოვს დროისა და ვითარების შესაბამისად...

— გოგებაშვილს ჰქონდა „დედაენის“ 33 გამოცემა თავის სიცოცხლეში და ყველა განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. იაკობი ამბობდა: თუ „დედაენას“ მოაკლდა „გაუკეთესება“, იგი მოკვდება. ამიტომ, სისტემატურად უნდა ხდებოდეს მისი გაუმჯობესება, ცხოვრების პირობებთან „დედაენის“ შეგუება, მაგრამ ცვლილება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ პრინციპების გათვალისწინებით, რა პრინციპებითაც აიგო „დედაენა“. გოგებაშვილი თავისი წიგნი უანდერდა ნერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და დაიბარა, რომ სახელმძ-



**პროგრამის დამსახურებით იმ დროს ოთხკლასიანი სასწავლებლებმა ბავშვმა გაცილებით უკეთესად იცოდა ქართული ენა, ლიტერატურა, საქართველოს გეოგრაფია, საქართველოს ისტორია და ეთნოგრაფია, ვიდრე დღევანდელმა სკოლადამთავრებულმა.**

ღვანელოში ნებისმიერი ცვლილება უნდა შევიდეს საზოგადოების სამი მეოთხედის თანხმობით. რადგან დღეს აღარ არსებობს ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მაშინ წიგნი სახელმწიფოს საკუთრებაა, მით უმეტეს, იგი უკვე ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლია. ჩვენ კონსულტაციები გვქონდა განათლებისა და კულტურის სამინისტროებთან და ამის შემდეგ მივმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ შეიქმნას კომპეტენტური პირები დაკომპლექტებული კომისია, რომელიც გოგებაშვილის სახელმძღვანელოს დღევანდელი სკოლისთვის მოამზადებს.

— იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების ფარგლებში აქტიურობის გარდა, თქვენ ჩართული იყავით და ხართ უნივერსიტეტის ცხოვრებაშიც. გასული ათწლეული საკმაოდ დრამატული აღმოჩნდა თქვენთვის: მოგიხდათ უნივერსიტეტის დატოვება. ახლა რა ხდება და როგორ თანამშრომლობთ უნივერსიტეტთან?

— უნივერსიტეტის ისტორიას რამდენიმე მძიმე პერიოდი ახსოვს. ეს იყო გასული საუკუნის 20-იანი წლები, როცა 1926 წელს ივანე ჯავახიშვილი გააგდეს უნივერსიტეტიდან და აირჩიეს რექტორად ვინმე თედო ლლონტი, რომელზეც მიხეილ ჯავახიშვილი წერდა, რომ 1920 წელს უნივერსიტეტი სტუდენტად არ მიიღეს სამოქალაქო განათლების უქონლობის გამო და მერე რექტორად დანიშნეს. იმ პერიოდში ზედიზედ 6 რექტორი გამოიცვალა უნივერსიტეტმა და 1937-38 წლებში ყველა დახვრიტეს. საბედნიეროდ, უნივერსიტეტი მაინც გადაარჩა აკაკი შანიძისა და მისწრაფების წყალობით. ასევე, მძიმე პერიოდი დაუდგა უნივერსიტეტს 2004 წელს, როცა მოისურვეს „უმალესი განათლების შესახებ“ კანონის შეცვლა, რასაც მოჰყვა პროფესორ-მასწავლებელთა პროტესტი. განათლების კანონში არ იყო პუნქტი სწავლების ენის შესახებ. საერთოდ, სახელმწიფო ენა უნდა იყოს განათლების ენა, გარდა კანონით განსაზღვრული გარკვეული შემთხვევებისა. ენის შესახებ ცვლილება მივალბინეთ, მაგრამ განსაკუთრებული ვნებათაღელვა გამოიწვია კონკურსების საკითხში. ამ კონკურსების გამოცხადებით მთავრობამ დაარღვია მის მიერვე მიღებული კანონი, რადგან კანონის მიხედვით, კონკურსები

უნდა ჩატარებულიყო მას შემდეგ, როცა არჩეული იქნებოდა საბჭო და რექტორი იმ შემადგენლობიდან, რა შემადგენლობაც იყო უნივერსიტეტში. მთავრობამ კი პირდაპირ მოინდომა კონკურსების ჩატარება, რათა არასასურველი ხალხი გაეყარა. ამასთან, წესდებოდა ასაკობრივი ცენზი. პირდაპირ დაიშურა მაშინ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ნაჯახით ამოვიძრვავო და შედეგი რა იყო? 2006 წელს გამოცხადდა აკადემიური კონკურსები 700 საკონკურსო ადგილზე და ეს მაშინ, როცა უნივერსიტეტში 3 500 პროფესორ-მასწავლებელი იყო, ანუ უნივერსიტეტში დატოვეს ადგილების 20%. პროფესორ-მასწავლებელთა 80%-ით შემცირება იყო ბარბაროსობა და კატასტროფა. ბევრმა ჩვენგანმა, და მათ შორის მეც, პროტესტის ნიშნად, უარი ვთქვით ამ კონკურსებში მონაწილეობაზე და ჩვენი ნებით დავეტოვეთ უნივერსიტეტი. მას შემდეგ, რაც რექტორად აირჩიეს ვლადიმერ პაპავა, მან თავად შემოგვთავაზა ჯემალ მეზონიას და მე — შევსულიყავით რექტორის მრჩეველთა საბჭოში და მონაწილეობა მიგველო უნივერსიტეტის ცხოვრებაში, რაზეც დავთანხმდით და ამჟამად ვართ ამ საბჭოს წევრები. გარდა ამისა, როგორც მოწვეული ლექტორი, ლექციებსაც ვკითხულობ.

— თქვენ არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეც ბრძანდებოდა და განაგრძობთ ენის კვლევას. გლობალიზმის ეპოქაში მცირე ერებისა და ენებისათვის არსებობს საფრთხეები, რომელთა იდენტიფიცირება სწორედ მეცნიერთა პრეროგატივაა. თქვენ რას იტყვით ახალი გამოწვევების შესახებ?

— ვფიქრობ, რომ ქართული ენისთვის საფრთხეები ახლა უფრო გამრავლდა, ვიდრე ეს იყო საუკუნის, ან თუნდაც ორი საუკუნის წინ. სწორედ ამიტომ, სპეციალური ზომებია გასატარებელი. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და გარკვეული წრეების ძალისხმევით მოხერხდა ის, რომ კანონი სახელმწიფო ენის შესახებ მომზადდა, თუმცა 2003 წელს პარლამენტში შეტანილი ეს კანონი დაიკარგა. ამჟამინდელმა პარლამენტმა, განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის მონაწილეობით, წელს, ზაფხულში მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. ამ კანონს ბევრი მონაწილემდეგ ჰყავდა და მოხდა ისე, რომ არასწორი ინფორმაციით კანონის წინააღმდეგ განაწყვეს საზოგადოების ნაწილი. თუმცა, კანონი უკვე მიღებულია და იანვირდნ ამოქმედდება. იგი საკმაოდ ფართო და საინტერესოა. მის საფუძველზე უნდა შეიქმნას სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, რომლის ფუნქციაც იქნება ქართული ენის ფუნქციონირების, სწავლებისა და შესწავლის პოლიტიკის განსაზღვრა. ეს კანონი მხოლოდ გარანტიაა იმისა, რომ ქართული ენა დაცული იქნება სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ თუ საზოგადოებამაც არ მოინდომა ენის შენარჩუნება და დაცვა, მაშინ ამას ვერანაირი კანონი ვერ უშველის.

მომზადდა  
ლელა კურდღელაშვილი

# სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციების კვლევა დასრულდა

ნათო მობლაძე

თსუ-ში კვლევის — „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ — შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გაიმართა. კვლევა საქართველოში სისხლის სამართლის კოდექსის რეფორმის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა. სამეცნიერო პროექტი იურიდიული ფაკულტეტის პროფესორებმა განახორციელეს. ექსპერტთა ჯგუფმა კვლევა 6 მიმართულებით განახორციელა: ინდივიდუალიზაციის პრინციპის მნიშვნელობა სასჯელის შეფარდების დროს (პროფესორ-ემერიტუსი მზია ლეკვიშვილი), ლიბერალიზმსა და სასჯელზე სახელმწიფოს უფლების პრობლემა სისხლის სამართლის ფილოსოფიაში (პროფესორ-ემერიტუსი გურამ ნაჭყებია), ქმედების კრიმინალიზაციადეკრიმინალიზაციის საკითხები და პირობითი მსჯავრი (პროფესორი ნონა თოდუა), სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში ალტერნატიული სასჯელების როლი და მნიშვნელობა (პროფესორი მია ივანიძე), უცხო ქვეყნის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ალტერნატიულ სასჯელებთან დაკავშირებით და მათი შედარებითი სამართლებრივი ანალიზი ქართულ კანონმდებლობასთან (პროფესორი ქეთევან მჭედლიშვილი-ჭედისი), პროპორციულობის პრინციპის დაცვის მნიშვნელობა სასჯელის დანიშვნის დროს (ასისტენტ-პროფესორი თემურ ციციტიშვილი). თუ როგორ უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის ლიბერალიზაციის პროცესი, მეცნიერულად დასაბუთებული შენიშვნები და მოსაზრებები ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამის უწყებებს უკვე გადაუგზავნა.

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებობს რეფორმების საკოორდინაციო ჯგუფი, რომელმაც მუშაობა პრაქტიკულად უკვე დაამთავრა. ცვლილებები შედის როგორც სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად, ასევე კერძო ნაწილში. საკანონმდებლო პროექტი საქართველოს პარლამენტს მალე გადაეგზავნება. ჩვენი მიზანია, რომ ამ პროცესს ხელი შევუწყოთ. სათანადო ნინადადებები შევიმუშავებთ და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ორგანოებს გადავუგზავნებთ. მაგალითად, 2015 წლის ივლისში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მეგობრის სტატუსით, ნარკოტიკულ დანაშაულთა სასჯელზე მივანოდეთ ჩვენი მოსაზრებები. სასამართლომ ეს საკითხი განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება. საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა პირობით მსჯავრთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებზე ნინადადებები. ჩვენი მოსაზრებები მივანოდეთ საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან არსებულ საკანონმდებლო რეფორმების საკოორდინაციო საბჭოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილის პროექტთან მიმართებაში.



პრეზენტაციაზე პროექტის მონაწილე ექსპერტებმა მოკლედ წარმოადგინეს კვლევის შედეგები. მუშაობა უკვე დასრულებულია. უახლოეს მომავალში ვგეგმავთ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ წარუდგინოთ ანგარიშის ელექტრონული ვერსია“ — განაცხადა სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნონა თოდუამ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში 2015 წლიდან საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა, რომელიც მეცნიერ-მკვლევრებით დაკომპლექტდა. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ მონაწილე ექსპერტთა ნაწილი აღნიშნული

საბჭოს წევრიც გახლდათ. პროფესორ ნონა თოდუას ინფორმაციით, ამ ფაქტმა კვლევის შედეგი უფრო პროდუქტიული გახადა. სისხლის სამართლის რეფორმის პროცესში პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი იურისტების თანამშრომლობის აუცილებლობასა და მნიშვნელობას ხაზი გაუსვა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემაც. „კანონმდებლობას სჭირდება ახალი რეგულაციები და გადასინჯვა. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ასეთმა პროფესიონალმა სპეციალისტებმა განახორციელეს. მათ ამ საკითხში დიდი გამოცდილება აქვთ. ჩვენ გვაქვს დიდი სურვილი და დახმარების შესაძლებლობა. პირადად ჩემთვის ლიბერალიზაცია ყველაზე

მისაღები მოდელია — სასჯელზე, ნდობაზე დაფუძნებული მართლმსაჯულება და არა — შიშზე. ვფიქრობ, ეს უფრო მეტ კარგ შედეგს მოგვცემს. სასჯელს უნდა ჰქონდეს ბევრი ალტერნატიული სახე, აღდგენითი მართლმსაჯულების მექანიზმები უკეთეს შედეგს მოგვცემს, ვიდრე ტრადიციული, ისტორიული სასჯელის სახეები. ზოგადად, ჰუმანური სასჯელის სახეების გამოყენების პოლიტიკა, სოციალური სასჯელი დამნაშავეის რესოციალიზაციისა და გამოსწორების ისეთ ბერკეტებს გვთავაზობს, რომელიც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ეს სასამართლოსაც გარკვეულ მიმართულებას და პოლიტიკას ჩამოუყალიბებს. ვთავაზობ ექსპერტთა ჯგუფს, რომ ითანამშრომლონ სასამართლოსთან. მოვანყობ შეხვედრები, მოხდეს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ვიმსჯელოთ პრაქტიკაში არსებულ პრობლემებზე. მნიშვნელოვანია მათი რჩევები. ეს სამართალწარმოების კულტურის გაზრდას შეუწყობს ხელს“, — განაცხადა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ.

კვლევის „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაციას იურიდიული საზოგადოების ბევრი წარმომადგენელი დაესწრო. კვლევის შედეგებს იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდულიც გაცნობდა. „პრობლემები, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არსებობდა ბოლო პერიოდის განმავლობაში (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ), სამართლებრივი სისტემის რღვევას უკავშირდება. სამართლებრივ ტრანსპლანტებს უწოდებენ, როდესაც ერთი ქვეყნის კანონმდებლობიდან იღებენ ნორმას და მეორე ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში გადააქვთ. ასეთი შემთხვევების შედეგად, ხშირად ხდება, რომ გადმოტანილი ნორმა ახალი სამართლებრივი სისტემისთვის შეუთავსებელია და ეს საკანონმდებლო ცვლილების მიმართ საზოგადოების გაუცხოებასა და უკმაყოფილებას იწვევს. ამიტომ, როდესაც რეფორმას ვახორციელებთ, სამართლის ერთიანი სისტემური ხედვის არეში უნდა წარმოვიდგინოთ. ნინადადგ შევთხვევაში, ერთიან სამართლებრივ სისტემას ვერ შევქმნით. სამართლებრივი სისტემის გარეშე კი არ არსებობს არც ეკონომიკური, არც პოლიტიკური და არც სოციალური სისტემა. მივესალმები ამ პროექტს. მინდა ვისურვო, რომ ჩვენი ფაკულტეტი უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული სოციალურ-პოლიტიკურ-სამართლებრივ პროცესებში. ამას მეტ-ნაკლებად უკვე ვახერხებთ უზენაესი სასამართლოს, უცხოელი დონორებისა თუ სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა. კვლევა „სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ტენდენციები საქართველოში“ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოში“ დაფინანსებით განხორციელდა. შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია თსუ-ში 3 ნოემბერს გაიმართა.

## თსუ-ში დოიჩე ველე აკადემიის მხარდაჭერით საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა



7 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ისა და „დოიჩე ველე აკადემიის“ ერთობლივი სამხრეთ კავკასიის სამეცნიერო კონფერენცია — „მედია, სამართალი და ეთიკა: რეგიონალური პერსპექტივები“ („Media, Law and Ethics – the Regional Perspectives“) — გაიმართა. ინტერდისციპლინური კონფერენცია მოიცავდა შემდეგ სამუშაო პანელებს: ინფორმაციის თავისუფლება; მედია და ადამი-

ანის უფლებები; სასამართლო და მედია; მედია და ეთიკა. კონფერენციის გახსნაში მონაწილეობდნენ თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, „დოიჩე ველე აკადემიის“ პროექტების მენეჯერი პანდელი პანი, თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი მარიამ გერსამია და იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი მორის შალიკაშვილი; კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის უნივერსიტეტების ჟურნალისტიკის დეპარტამენტების და იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები. წარმოდგენილი იყო 11 მოხსენება. კონფერენციის თემატიკა აერთიანებდა კავკასიის სამივე რესპუბლიკისთვის საერ-

თო პრობლემეტიკის მეცნიერულ განხილვას და შეეხებოდა გამოხატვის თავისუფლების, ადამიანის უფლებების, უდანაშაულობის პრეზუმფციის, სამართლებრივი საკითხებისა და სასამართლო პროცესების გაშუქების თავისებურებებს. დასკვნითი სხდომაზე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მკვლევრებმა გამოცდილება გაუზიარეს ერთმანეთს და მედიისა და სამართლის სფეროში მომავალი ურთიერთობის პერსპექტივები დასახეს. კონფერენციის ორგანიზატორი იყო საერთაშორისო მედია განვითარების ორგანიზაცია „დოიჩე ველე აკადემია“. ღონისძიების მხარდამჭერი — თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტი და ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი.





# ტექსტისა და დისკურსის ანალიზის თეორია და პრაქტიკა

შურთხია ბაროშვილი

14-16 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია — „ტექსტისა და დისკურსის ანალიზის თეორია და პრაქტიკა“, რომელიც თსუ-ის პროფესორის ლალი ქეცვა-ხუნდაძის 70 წლის იუბილეს მიეძღვნა. კონფერენცია თსუ-სა და დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტს შორის არსებული გერმანისტული ინსტიტუტთაშორის პარტნიორობისა და ასევე გერმანული აკადემიური გაცვლის სამსახურის ყოფილ სტიპენდიატთა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით მოეწყო.

კონფერენციის მთავარი თემა იყო ტექსტისა და დისკურსის კვლევის თეორია და პრაქტიკა ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს დისკურსის ცნებისა და მის შემდგომ გერმანიაში განვითარებულ თეორიებზე დაყრდნობით. კონფერენციის თემატიკა მოიცავდა დისკურსის სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგიას და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის შესაძლებლობებს. როგორც ღონისძიებაზე აღინიშნა, დღეისთვის დისკურსი, როგორც კულტურული და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ფენომენი, ერთნაირად დიდი ინტერესით სარგებლობს ენათმეცნიერების, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის, სოციოლოგიის, ანთროპოლოგიის, ისტორიოგრაფიისა თუ მედიის კვლევის დარგებში, თუმცა, კონფერენციის ფარგლებში ნაკითხული მოხსენებების თემატიკა მხოლოდ დისკურსის ანალიზის საკითხებით არ შემოიფარგლებოდა: დისკურსული კვლევების გარდა, კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები დარგობრივი ტექსტების მანქანური თარგმანის, ტექსტის ანალიზის, სოციოლინგვისტიკის – ვარიანტების ლინგვისტიკის, ინტერაქციის ანალიზის სამეცნიერო დისციპლინებიდან.

კონფერენციის გახსნის დღეს ყველა მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კონფერენციის პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძის 70 წლის იუბილისადმი მიძღვნილი არ არის შემთხვევითი, რადგან რომ არა პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძის ენერგიული ძალისხმევა როგორც გერმანულ კოლეგებთან აქტიური ნაყოფიერი თანამშრომლობის საქმეში, ასევე, საქართველოში გერმანული ენის პოპულარიზაციისა და მაღალი სამეცნიერო სტანდარტების დამკვიდრების საკითხში, მისი სამეცნიერო ნაშრომების საერთაშორისო აღიარება თუ აკადემიური მოღვაწეობა ასეთი მასშტაბის სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება მეტად რთული იქნებოდა.

პროფესორი ლალი ქეცვა-ხუნდაძე წლების განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობს თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრას და, დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტის პროფესორ სიბილე შენ-ბორნთან ერთად, არის გერმანული ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის თანახელმძღვანელი. მნიშვნელოვანია, რომ ქართველ მეცნიერს დიდი ღვაწლი მიუძღვის დისკურსის მეცნიერული ანალიზის ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის გაცნობაშიც. იგი იყო პირველი ქართველი გერმანისტი, რომელმაც დისკურსის კვლევის საკითხზე გამოაქვეყნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ფუკოს შემდგომ გერმანიაში განვითარებულ დისკურსის თეორიებსა და მეთოდოლოგიებს (მათ შორის დისკურსის შერმენევტიკულ კვლევას ლინგვისტიკის პერსპექტივიდან) და მათ პრაქტიკულ გამოყენებას ეძღვნება. განსაკუთრებით აღ-

სანიშნავია გერმანიაში გამოცემული მისი ვრცელი სტატია „სივრცის ინსცენირება ქართულ პოსტმოდერნულ დისკურსში (ერთი მოკლე მოთხრობის მაგალითზე აკა მორჩილაძის რომანში „სანტა ესპერანსა“), პროფესორ ბერნდ შპილნერისადმი მიძღვნილ კრებულში „ტექსტები — ხიდეები კულტურათა შორის“. პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძის ხელმძღვანელობით შესრულდა საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომები დისკურსის პრობლემატიკაზე, რომელთა შორის აღსანიშნავია: „ძალადობა ქალებზე გერმანიის მიგრანტების დისკურსში“ და „უკრაინის კონფლიქტი გერმანული პრესის დისკურსში“. მისი ხელმძღვანელობით დაცულია დისერტაცია, რომელიც მიეძღვნა სიკვდილის დისკურსს გერმანულ მხატვრულ ლიტერატურაში ლინგვისტური პერსპექტივიდან. მისი დოქტორანტიები აქტიურად მუშაობენ პრესის დისკურსზე (მარიონ დენჰოფის პუბლიცისტური დისკურსის ანალიზზე), სამეცნიერო დისკურსების ინტერკულტურულ შედარებაზე გერმანულსა და ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეებში, ზმნურ შესიტყვებებზე ადმინისტრაციულ ენაში კონტექსტუალიზაციის თეორიის პერსპექტივიდან. ახალგაზრდა ქართველი მკვლევრები იყენებენ ვარკესა და შპიტციმიულის ანალიზის უახლესი მოდელს სახელწოდებით (DIMEAN), რომელიც გულისხმობს როგორც ინტერაქციულ ანალიზის მეთოდებს, ასევე ე.წ. აქტივობების ანალიზსა და ტრანსტექსტუალური ანალიზის მეთოდებს ერთობლიობას. პროფესორის ღვაწლი ასევე განსაკუთრებით აღნიშნეს მისმა სტუდენტებმა სექციურ სხდომებზე მუშაობის დროს.

კონფერენცია გახსნა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დარეჯან თვალთვაძემ, რომელმაც შეაფასა იუბილარის მრავალწლიანი მოღვაწეობა და ნაყოფიერი თანამშრომლობა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტის მეცნიერებთან. განსაკუთრებით კი წარმატებული პარტნიორობა დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტთან, რომლის ფარგლებშიც უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის არა ერთი სტუდენტი, ახალგაზრდა მკვლევარი და კოლეგა ეზიარა კვლევისა და აკადემიური მუშაობის დასავლურ გამოცდილებას, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც კონფერენციაში მონაწილეობდა. ამგვარი ურთიერთობები მან შეაფასა, როგორც ქართული საგანმანათლებლო სივრცის ინტერნაციონალიზაციის საწინდარი, რაც ჩვენი უნივერსიტეტის ერთერთ პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. მან ხაზი გაუსვა გერმანიის აკადემიური თანამშრომლობის როლს ამ საქმეში ისევე, როგორც მიმდინარე კონფერენციის ორგანიზებაში. ასევე აღნიშნა კონფერენციისთვის გერმანიის ყოფილ სტიპენდიატთა ქართული გაერთიანების მხარდაჭერის მნიშვნელობაც. „შემთხვევითი არ არის, რომ კონფერენცია პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძის იუბილეს ეძღვნება, რადგან სწორედ მისი ძალისხმევით მოხდა ჩვენს ქვეყანაში ტექსტისა და დისკურსის დამკვიდრება და განვითარება“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის პლენარულ სხდომებს უძღვევოდნენ გერმანული ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის ცნობილი წარმომადგენლები: პროფესორები დიტრიხ ბუსე, ინგო ვარნკე, ფოლკერ დიორი და ერნესტ ჰეს-ლიუთიხი. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა გერმანულ უნივერსიტეტში მოღვაწე მეცნიერები და მკვლევრები - პროფ. ბერნდ შპილნერი და პროფ. ულრიხ აბონი (დუისბურგ-ესენის უნივერსიტეტი), პროფ. კლაუდია პოლცინ-ჰაუმანი და დო-



ქტორი ელიზაბეტ ფენორი (ზაარლანდის უნივერსიტეტი), პროფ. გერტრუდ რიომი (ჰაიდელბერგის უნივერსიტეტი), პროფ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელი (დიუსელდორფის ჰაინრიხ ჰაინეს უნივერსიტეტი), პროფ. ჰელგა კოთჰოფი (ფრაიბურგის ალბერტ-ლუდვიგის უნივერსიტეტი), ასევე კოლეგები ანკარის ჰაჯეთეფეს უნივერსიტეტიდან, ერენის ენებისა და სოციალურ მეცნიერებათა უნივერსიტეტიდან, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის რეგიონალური ოფისის უფროსმა და ამავედროულად გერმანული ფილოლოგიის კათედრის მონვეულმა ლექტორმა დოქტორმა მარტინ პრაქსენელმა აღნიშნა ისაუბრა პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძის გერმანიაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელობაზე, რომლებიც ცნობილია არა ერთი გერმანული მკვლევრისთვის. მან ასევე აღნიშნა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გერმანული ენის არასახარბილო მდგომარეობის პირობებში მისი განსაკუთრებული ღვაწლის შესახებ დარგის შენარჩუნებისთვის თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრაზე.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა გერმანიის ყოფილ სტიპენდიატთა ქართული გაერთიანების ხელმძღვანელი დოქტორი ირმა წერეთელი. კონფერენციის საერთაშორისო მნიშვნელობაზე ისაუბრა აგრეთვე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგი გიგიაძემ, რომელმაც პროფესორ ლალი ქეცვა-ხუნდაძეს 70 წლის იუბილე მიულოცა.

პლენარულ სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანისტიკის ინსტიტუტსა და თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრას შორის არსებული პარტნიორობის თანახელმძღვანელმა და კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა პროფესორმა სიბილე შენბორნმა, რომელმაც იუბილარის მეცნიერულ მიღწევებზე ისაუბრა და ამავე დროს კონფერენციის თემატიკის აქტუალობაზე გაამახვილა ყურადღება. პროფესორმა ლალი ქეცვა-ხუნდაძემ მადლობა გადაუხადა გერმანულ კოლეგებს დიდი დაფასებისთვის და გაიხსენა კონფერენციის მომზადების სამშლიანი პროექტის ზოგიერთი ეტაპი, რომლებიც განსაკუთრებული როლი შეასრულეს თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრის თანამშრომლების სამეცნიერო მუშაობაში, განსაკუთრებით კი სტუდენტებისა და დოქტორანტების ჩართულობისთვის სამეცნიერო კვლევებში. კონფერენციის მომზადებისთვის იუბილარმა მადლობა გადაუხადა პროფესორ სიბილე შენბორნს, ინსტიტუტთაშორისი პარტნიორობის თან-

ახელმძღვანელს, გერმანიის და თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრის ყველა თანამშრომელს, ვინც მონაწილეობა მიიღო კონფერენციის მომზადებაში და განსაკუთრებით გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურსა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელთა მხარდაჭერითაც შესაძლებელი გახდა კონფერენციის გამართვა.

პლენარულ სხდომებზე მოხსენებები წაიკითხეს ცნობილი გერმანელი ლინგვისტიკა, პროფესორმა დიტრიხ ბუსემ (ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის გერმანული ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელმა) და პროფესორმა ინგო ვარნკემ (ბრემენის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელმა), რომლებიც იკვლევდნენ დისკურსის თეორიასა და პრაქტიკას დიდი ფრანგი ფილოსოფოსის მიშელ ფუკოს შემდგომ პერიოდში. ასევე პროფ. ფოლკერ დიორმა (ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტის ლიტერატურათმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელმა) და პროფ. ერნესტ ჰეს-ლიუტიხმა (ბაზელის უნივერსიტეტი). ასევე პროფ. ულრიხ აბონმა და პროფ. ბერნდ შპილნერმა (დუისბურგის უნივერსიტეტი).

მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე ჰაინრიხ ჰაინეს დიუსელდორფის უნივერსიტეტიდან ლიტერატურათმცოდნეობის კათედრის პროფ. სიბილე შენბორნმა და მედიცინისტიკის კათედრის პროფ. ჰელმუტ ბრალ-ტუხელმა, ზაარლანდის უნივერსიტეტიდან: დოქტ. ელიზაბეტ ფენორმა, პროფესორმა კლაუდია პოლცინ ჰაუმანმა და დოქტორმა ქრისტინა ჰაუმანმა. ასევე ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰელგა კოთჰოფმა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის პროფესორმა გერტრუდ რიომმა. როგორც ღონისძიებაზე ითქვა, საერთაშორისო კონფერენციას რეგიონალური მნიშვნელობაც ჰქონდა. მასში მონაწილეობდნენ ერენისა და ანკარის უნივერსიტეტების გერმანისტიკები, ასევე ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ უკვე ცნობილია კონფერენციის უცხოელი მონაწილეების ზარი კონფერენციის მაღალ დონეზე გამართვის თაობაზე. პროფესორმა ლალი ქეცვა-ხუნდაძემ მიიღო მეტად დადებითი გამოხმაურება პოლონეთიდან, კერძოდ ვარშავის უნივერსიტეტის ენათმეცნიერების კათედრის ხელმძღვანელის, პროფ. ვალდემარ ჩახურას მაილი, რომელიც ჩატარებული კონფერენციის პროგრამის შთაბეჭდილებით თსუ-ის გერმანული ფილოლოგიის კათედრასთან თანამშრომლობის დიდ დაინტერესებასა და სურვილს გამოთქვამს.



# ისრაელსა და ტაილანდში მივლინებული სტუდენტური დელეგაციების ანგარიში

## თამარ დადიანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოლოგთა სამეცნიერო წრეზე, რომელიც გაიმართა 29 ოქტომბერს, პროფესორებმა ნანა დორეულმა და ილია თავხელიძემ წარმოადგინეს აგვისტოში ისრაელში გამართულ მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციასა და ტაილანდში აზიის სამეცნიერო ბანაკში მიწვეული თსუ-ის სტუდენტური დელეგაციების ანგარიში.

ბიოლოგთა სამეცნიერო წრის შეხვედრას, თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებთან ერთად, ესწრებოდა ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი. აღნიშნულ კონფერენციებზე განხილულ აქტუალურ საკითხებზე და შთაბეჭდილებებზე, ასევე მასპინძელ ქვეყნებთან სამომავლო კავშირებზე და, ზოგადად, საერთაშორისო სამეცნიერო ურთიერთობებზე ისაუბრეს დელეგაციის ხელმძღვანელებმა და სტუდენტებმა.

მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილე ქართველი სტუდენტების დელეგაციის ხელმძღვანელმა, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრის გამგემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ნანა დორეულმა იერუსალიმის ებრაულ უნივერსიტეტში გამართულ (15-20 აგვისტო) მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციის (WSCI-2015 The world science conference-Israel) შესახებ ისაუბრა, რომლის მიზანი იყო საუკეთესო ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე სტუდენტთათვის შექმნა უნიკალური გარემო საერთაშორისო მეგობრული ურთიერთობების გასაღრმავებლად, ასევე, იდეებისა და გამოცდილების გასაზიარებლად.

კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ნობელის პრემიის 15 ლაურეატი ფიზიოლოგიის, მედიცინის, ქიმიის, ფიზიკისა და ეკონომიკის დარგში (პროფე-

სორები: უ. ალფიოროვი, (ფიზიკა 2000წ.), ს. ალტმანი, (ქიმია, 1989 წ.), რ. აუმანი, (ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში, 2005 წ.), ა. ჩეხანოვერი (ქიმია, 2004 წ.), ს. ჩუ, (ფიზიკა, 1997 წ.), კ. კოპენ-ტანოუჯი (ფიზიკა, 1997 წ.) დ. გროსი (ფიზიკა, 2004 წ.); რ. კორნბერგი (ქიმია, 2006 წ.) პ. კროტო (ქიმია, 1996 წ.); რ. რობერტი (ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში, 1993 წ.) დ. შესტმანი, (ქიმია 2011 წ.); პ. ვარმუსი ფიზიოლოგიისა და მედიცინის დარგში, 1989 წ.) ა. ვარშელი (ქიმია, 2013 წ.) ა. იონატი (ქიმია, 2009 წ.), ასევე დარგის მედიის მფლობელი მათემატიკაში პროფესორი ელონ ლინდენსტრაუსი (Prof. Elon Lindenstrauss, Fields Medal, 2010წ.), საკმაოდ მასშტაბური და წარმომადგენლობითი იყო. ნობელის პრემიის თხოვნილები ლაურეატი საინტერესო მოხსენებებით წარსდგა ფართო აუდიტორიის წინაშე, რომელიც 5 კონტინენტის 70 ქვეყნის 400-ზე მეტ სტუდენტსა და ქვეყნების დელეგაციის ხელმძღვანელებს მოიცავდა.

ნობელის პრემიის ლაურეატების მოხსენებები დაკავშირებული იყო მათ მიერ განხორციელებულ ბრწყინვალე ექსპერიმენტულ კვლევებთან. მოხსენებელთა შორის ასევე იყვნენ ნეირომეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესორები და დოქტორანტიები იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტიდან.

საქართველოში ისრაელის საელჩომ და ისრაელის სრულუფლებიანმა ელჩმა იუვალ ფუქსმა დიდი ინტერესი გამოხატეს აღნიშნულ კონფერენციაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის მიმართ. იუვალ ფუქსმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ კონფერენციაში ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობა ნაყოფიერი ქართულ-ებრაული ურთიერთობების შედეგია. ხოლო რაც შეეხება ხანგრძლივი ურთიერთობების პერსპექტივას, ისრაელის მხარე მზადაა წარჩინებულ ქართველ სტუდენტებს ისრაელში სწავლების შანსი მისცეს და სწავლების კარგი პირობები შესთავაზოს.

პროფესორმა ნანა დორეულმა მაღლობა გადაუხადა ისრაელის ელჩს ქართველი სტუდენტების თანადგომისა და დახმარებისათვის. „მსოფლიო სამეცნიერო კონფე-

რენციაში მონაწილეობა იყო უნიკალური შესაძლებლობა ქართველი სტუდენტებისთვის, რათა მიეღოთ საერთაშორისო გამოცდილება და აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართულნი ინტერდისციპლინარულ დიალოგებში. ეს იყო ადგილი სადაც ხდებოდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა და იდეების გაზიარება. ქართველ სტუდენტებს პირადი ურთიერთობის დამყარება შეეძლოთ ნობელის პრემიის ლაურეატებთან და გამოჩენილ მკვლევარებთან“ — აღნიშნა პროფესორმა ნანა დორეულმა.

ზემოაღნიშნულ კონფერენციაში სტუდენტთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სასწავლო პროგრამის სტუდენტმა, რომელთა ასაკი არ აღემატებოდა 21 წელს. ძირითადი მოთხოვნები იყო მაღალი აკადემიური მოსწრება და ინგლისური ენის სათანადო დონეზე ცოდნა. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალით წარმოდგენილმა კომისიამ კონკურსანტებთან გასაუბრებისას შეაფასა მათი საერთო განათლების დონე, კომუნიკაბელურობა, თანამედროვე მეცნიერების საკითხებთან მათი დამოკიდებულება, ექსპერიმენტულ კვლევებში ჩართულობის ხარისხი და გამოცდილება.

მსოფლიო სამეცნიერო კონფერენციაზე დასასწრებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 3 სტუდენტი შეირჩა: ელენე გაბელაია (მათემატიკის მიმართულება), მიხეილ ციციშვილი (ფიზიკის მიმართულება) და სოფო ხუციშვილი (ბიოლოგიის მიმართულება).

როგორც პროფესორმა ნანა დორეულმა აღნიშნა, ქართველი სტუდენტები აქტივობით გამოირჩეოდნენ. სტუდენტები, რომლებიც ჯერ კიდევ კონფერენციის დაწყებამდე გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში, აქტიურად ჩაერთნენ კონფერენციაზე საპრეზენტაციო თემების დამუშავებაში, მოხსენებების შემდეგ გამართულ დისკუსიებში და არ უფრთხოდნენ პირად საუბრებს ნობელის პრემიის ლაურეატებთან. თსუ-ის სტუდენტები კონფერენციაზე წარმოჩინდნენ როგორც განათლებული, მოწესრიგებული, ლალი და ლამაზი თაობის წარმომადგენლები. კონფერენციის ორგანიზატორებმა ასეთი აქტივო-



ილია თავხელიძე



ნანა დორეული

ბისთვის ყველა მონაწილე ალბერტ აინშტაინის მედლითა და მონაწილეობის სერტიფიკატით დააჯილდოვა.

„კონფერენციაში მონაწილეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი სტუდენტებისთვის. თაობა, რომელიც ასეთ მასშტაბურ კონფერენციაშია ჩართული, ყოველთვის შეეცდება, გახდეს იმაზე უკეთესი, ვიდრე არის და გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რასაც მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები და გამოყენებით დარგში მოღვაწე კომპანიები სთავაზობენ. მეცნიერებას არ აქვს საზღვრები! მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, ეთნიკური ჯგუფის, რელიგიის, ასაკის წარმომადგენლები 5 დღის განმავლობაში ერთმანეთს სამეცნიერო მიღწევებზე, ბრწყინვალე აღმოჩენებზე, ადამიანის გონების უზარმაზარ, ამოუწურავ შესაძლებლობებზე ისაუბრებოდნენ. ამასთან ერთად, დიდი იყო კონფერენციის როლი სხვადასხვა ქვეყნის კულტურის გაცნობის თვალსაზრისითაც. კონფერენციის მონაწილეები ისრაელის კულტურას იერუსალიმისა და თელ-ავივში მოწყობილი ექსკურსიებით ეზიარნენ. სპეციალურ სესიაზე წარმოდგენილი იყო ისრაელის კრეატიული ახალგაზრდა თაობა ინოვაციური გამოგონებები“, — აღნიშნა ნანა დორეულმა, რომელმაც საუბრისას ხაზი გაუსვა ისრაელის მთავრობის დამოკიდებულებას განათლების მიმართ. ისრაელის სახელმწიფო თანხებს არ იშურებს განათლებული თაობის აღსაზრდელად, რაც მისაბამი მაგალითი უნდა იყოს სხვა ქვეყნების მთავრობებისთვისაც.

ტაილანდში, აზიის სამეცნიერო ბანაკში ქართველი სტუდენტების მონაწილეობაზე გააგრძელა საუბარი თსუ-ის სტუდენტების ჯგუფის ხელმძღვანელმა პროფესორმა ილია თავხელიძემ. როგორც მან აღნიშნა, ბანაკის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 29 ქვეყნის 280 სტუდენტი და 44 ლიდერი (ჯგუფის ხელმძღვანელი). სამეცნიერო ბანაკში პოსტბაჭოთა ქვეყნებიდან მხოლოდ 3 ქვეყანა მონაწილეობდა: ყაზახეთი, რუსეთი, და საქართველო. „ცალკე აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ამ საერთაშორისო ფორუმზე საქართველო უკვე მეოთხედ იყო წარმოდგენილი თსუ-ის დელეგაციით, რაც უდავოდ უნივერსიტეტის ფაკულტეტის, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტისა და რექტორატის შეთანხმებული მუშაობის შედეგია. ქართველი სტუდენტების დელეგაცია ამ ქვეყნებთან შედარებით ყველაზე წარმომადგენლობითი იყო. ბანაკში 3 ქართველი სტუდენტი გაიგზავნა, რომელთაგან ორი: მათემატიკის მიმართულების სტუდენტი ანანო ბასილაია და ქიმიის მიმართულების სტუდენტი თამარ ხატიაშვილი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტმა დააფინანსა, ხოლო ფიზიკის მიმართულების სტუდენტი ირაკლი ჯოხაძე მასპინძელმა მხარემ“, — აღნიშნა პროფესორმა ილია თავხელიძემ.

სამეცნიერო ბანაკის მიზანი იყო ახალგაზრდებს თანამედროვე სამეცნიერო თემების უფრო ღრმა

კვლევა და შესწავლა დაენყოთ, უფრო აქტიურად ჩართულიყვნენ სამეცნიერო საქმიანობაში, ესწავლათ ინტერნაციონალურ ჯგუფში მუშაობა, გაცნობოდნენ სხვადასხვა ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს. ტაილანდში ჩატარებული სამეცნიერო ბანაკი რიგით მეცხრე იყო, შემდეგი ბანაკის ჩატარება ინდოეთის ქალაქ ბანგალორის აკადემ-ქალაქშია დაგეგმილი.

„სამეცნიერო ბანაკს თავისი ისტორია აქვს და ის ყოველთვის დიდი ორგანიზაციის პატრონაჟის ქვეშ ტარდება. ბანაკში მაღალ დონეზე დგას ბავშვთა უსაფრთხოება. კონფერენციის მონაწილეები ტაილანდში სამეცნიერო ოჯახმა მიიღო. მათი „მფარველი“ ტაილანდის პრინცესა, მისი სამეცნიერო უდიდებულესობა მაჰატ ჩაკრი სინინდრომი გახდა, რომელიც ტაილანდში მეცნიერების პროტექტორია. იგი ბანაკის გახსნის ცერემონიალსაც დაესწრო და ძალზე საინტერესო მოხსენებაც გააკეთა.

„სამეცნიერო ბანაკის მუშაობა მიმდინარეობდა აკადემიურ ქალაქში (ბანკოკიდან 40 კმ. მოშორებით), სადაც თავმოყრილია თანამედროვე ლაბორატორიები. ტაილანდელი მეცნიერები დღესდღეობით დიდი მიღწევებით არ გამოირჩევიან, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობენ, ისინი ჯერ კიდევ აქტიურად სწავლობენ და ამის აღიარების არ რცხვენიათ“, — აღნიშნა პროფესორმა ილია თავხელიძემ, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა თსუ-ის ადმინისტრაციას, საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს მხარდაჭერისა და თანადგომისათვის და იმედი გამოთქვა, რომ მათი დახმარება, საზღვარგარეთ ახალი დელეგაციების გაგზავნის შემთხვევაში, კვლავ გაგრძელდება.

ბანაკს სულ 7 მომხსენებელი ჰყავდა. მუშაობაში მონაწილეობდნენ: იუკავას პრემიის ლაურეატი პროფესორი მურაიამა, ნობელის პრემიის ლაურეატები, პროფესორები: რობერტ ჰუბერი და იუან ჩენ ლი, მედიცინაში ნობელის პრემიის ლაურეატი ჰარალდ სულ ჰაუზენი, ფილცის პრემიის ლაურეატი პროფესორი, ვლადიმერ ვოევოდსკი და სხვები. ბანაკის მონაწილეებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს აკადემ-ქალაქში განთავსებული სხვადასხვა სამეცნიერო თუ ტექნიკური ლაბორატორიები და გაეცნენ ახალი კვლევების შედეგებს. ბანაკში მოხსენებით გამოვიდა ტაილანდის პრემიერ-მინისტრის მოადგილე, რომელმაც საინტერესო მოხსენება წაიკითხა მეცნიერებასა და მის განვითარებაზე. ბანაკის მონაწილე სტუდენტებმა საინტერესო პრეზენტაციები მოაწვეეს. ცალკე პროგრამა ჰქონდათ ლიდერებს. ისინი სამუშაო შეხვედრაზე ერთად იკრიბებოდნენ და სამომავლო გეგმებზე მსჯელობდნენ.

ბანაკის დახურვის დღეს სტუდენტებმა კონცერტი გამართეს, სადაც თავისი ქვეყნის კულტურის შესახებ საინტერესო პრეზენტაციები წარმოადგინეს. ბანაკის ყველა მონაწილეს სამახსოვრო სერტიფიკატები გადაეცათ.



# ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტმა ამერიკის ისტორიის დოკუმენტების კრების პრაქტიკის პრაქტიკა გაართვა

თამარ ლაღიანი

ონანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თსუ-ის ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტმა 28 ოქტომბერს ამერიკის ისტორიის დოკუმენტების კრების „პატრიოტთა ისტორიის მასალების“ პრეზენტაცია გამართა.



ლონისძიებებს აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები, პროფესორები, სტუდენტები, პოლიტიკოსები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ნიგნი ქრონოლოგიურად აერთიანებს იმ დოკუმენტებს, საკვანძო საკითხებსა და იდეებს, რომელთაც ამერიკის ისტორიის გეზი მისცეს. თითქმის 700-გვერდიანი ნიგნი თავმოყრილია ის დოკუმენტები, რომლებმაც, როგორც მისი ავტორები წერენ, თავის დროზე არა მარტო შეცვალა საზოგადოება, არამედ მასზე ხანგრძლივად ზემოქმედებდა. მაგალითად, 1776 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაცია, ჯორჯ ვაშინგტონის პირველი საინაუგურაციო მიმართვა, ემანსიპაციის პროკლამაცია, რომელსაც 1863 წელს ხელს აწერს ამერიკის პრეზიდენტი აბრაჰამ ლინკოლნი, 1964 წლის აქტი სამოქალაქო უფლებების შესახებ — ეს იმ დოკუმენტების მცირე ჩამონათვალია, რომლებიც ავტორებმა ნიგნი მოაქციეს და რომლის ქართულ ენაზე გაცნობის საშუალებაც მისცეს მკითხველს ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა. ნიგნის სამეცნიერო რედაქტორი და ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ვასილ კაჭარავა მიიჩნევს, რომ ამერიკის შესწავლისადმი მალაღინტერესს ამ ქვეყნის სიძლიერე, დემოკრატიული სისტემის მდგრადობა და უნიკალური გამოცდილება განაპირობებს. მისი თქმით: ამა თუ იმ საკითხზე ყველაზე უტყუარი და ობიექტური ინფორმაციის მისაღებად საჭიროა პირველწყაროებს გავცნო. ეს ნიგნი კი სანდო და საუკეთესო საშუალებაა და ღირებულებებს ჩაწვდეს მკითხველი: „ამერიკის შესახებ ჩვენს სივრცეში ცნობები კონიუნქტურით შემოდიოდა და შემდგომ, როდესაც ეს საინფორმაციო სივრცე გაიხსნა, ინტერნეტმა, პოლიგუდმა, განსაკუთრებით, კინომ და მასკულტურამ ძალიან ბევრი, ზოგ შემთხვევაში სწორი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არასწორი სტერეოტიპი გაავრცელა ამერიკული საზოგადოების, მისი ღირებულებების შესახებ. მოხდა

ამერიკის სტანდარტიზაცია, ამ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიულ-კულტურული თავისებურებების და უნიკალურობის ნიველირება. ყველაზე მეტად ეს სტერეოტიპები პირველწყაროებმა უნდა გააქარწყლოს. ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი ნიგნი ალტერნატიული დოკუმენტების გაცნობა“, — აღნიშნა ვასილ კაჭარავამ. მას ასევე მიაჩნია, რომ ნიგნი სასარგებლო იქნება არა მარტო სტუდენტებისა და პროფესორებისთვის, არამედ, პირველ რიგში, პოლიტიკოსებისთვისაც; „ეს ნიგნი მათთვის ნამდვილად სასარგებლო იქნება, რადგან ისინი ჩვენს ბედს წყვეტენ და, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად არც თუ კვალიფიციურ გადანაცვლებებს იღებენ. ეს ნიგნი მათ პოლიტიკური კვალიფიციის ამაღლებაში დაეხმარება“, — აცხადებს ვასილ კაჭარავა.

ნიგნის მნიშვნელობასა და აქტუალურობაზე საუბრობს თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა, რომელიც თვლის რომ, ამ ნიგნის გამოცემით ქართველი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი რამ გაკეთდა: „ჩვენ მაქსიმალურად ვუნყობთ სტუდენტებს ხელს, რომ მათ ქართულ ენაზე მივანოდოთ სასწავლო სახელმძღვანელოები. ამერიკისმცოდნეობის

მიმართულებამ თარგმნა შესანიშნავი სახელმძღვანელო ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიის შესახებ. ეს იქნება სამაგიდო ნიგნი არა მარტო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, არამედ ამერიკის ისტორიით დაინტერესებული მკვლევრებისთვისაც. თსუ-ისთვის პრიორიტეტულია, რომ სახელმძღვანელოები მშობლიურ ენაზე იყოს ხელმისაწვდომი, ამიტომ ასეთი ნიგნების თარგმნას ქართულ ენაზე უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მადლობა მინდა გადავუხადო აშშ-ის საელჩოს თანადგომისთვის, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი თანამშრომლობა საინტერესო შედეგებს მოუტანს არა მხოლოდ ქართულ სტუდენტებს, არამედ ჩვენი ქვეყნის საზოგადოებასაც“, — განაცხადა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

აშშ-ის ელჩის მოადგილემ საქართველოში ნიკოლას ბერლინელმა ხაზი გაუსვა ნიგნის მნიშვნელობას ქართული საზოგადოებისათვის: „ამ ნიგნი წარმოდგენილი უტყუარი ისტორიული წყაროების გაცნობა არა მხოლოდ ამერიკის ისტორიის შესწავლის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევრებს გამოადგებათ, არამედ ნებისმიერ მკითხველს, ვინც დაინტერესებულია ამერიკული გამოცდილების გაზიარებით, ვინც მზადაა ეზიაროს ამერიკის ისტორიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, სადაც ნათლად ჩანს ამერიკის სახელმწიფოს განვითარების ორსაუკუნოვანი გზა, ამერიკელი ხალხის მიერ აღიარებული ღირებულებების დამკვიდრება და განმტკიცება. ამ ნიგნის ქართულ ენაზე გამოცემა ორივე მხარის ნაყოფიერი სამეცნიერო თანამშრომლობის შედეგია, რითაც ნამდვილად ვამაყობთ“, — განაცხადა ნიკოლას ბერლინელმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი დარეჯან თვალთვაძე დარწმუნებულია, რომ ნიგნი, „პატრიოტთა ისტორიის მასალები“, პოპულარობას მოიპოვებს იმ სტუდენტებში, რომლებიც ამერიკის ისტორიით არიან დაინტერესებულნი: „ამერიკისმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებისთვის შესაძლოა ეს ნიგნი ერთგვარ სამაგიდო ნიგნად იქცეს, რადგან ყველა დოკუმენტი, რომელიც მათთვის საჭიროა და აუცილებელია, აქ ერთადაა თავმოყრილი“.

პრეზენტაციაზე პროფესორმა ელენე მექმარიაშვილმა თარგმანის თავისებურებებსა და სიძნელეებზე ისაუბრა და აღნიშნა რომ: „ეს არ იყო უბრალოდ თარგმანი, ფაქტობრივად, ეს პატარა სამეცნიერო კვლევა იყო. ქართველ რედაქტორებს, ინგლისურ ვერსიასთან შედარებით, ბევრად მეტი კომენტარის გაკეთება დაგვჭირდა. ასევე, აუცილებელი გახდა თარგმანის იმ პრობლემების მოგვარება, რომლებიც ტერმინოლოგიასა და საკუთარ სახელებს უკავშირდებოდა, ვინაიდან ისინი დღემდე დაუდგენელი იყო. ვფიქრობ, დასახულ ამოცანას თავი გავართვით“, — აღნიშნა ელენე მექმარიაშვილმა.

„ეს არის პირველი სერიოზული მცდელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის ქრესტომათიის შექმნისა“, — ასე აფასებენ ნიგნს ქართველი მეცნიერები. ზედმიწევნით ჩამოყალიბებული ანგარიში კონტინენტის აღმოჩენიდან დღემდე: „ნიუ-იორკ ტაიმის №1 ბესტ-სერელის შეერთებული შტატების პატრიოტთა ისტორიის თანადართული ტომეულის სამეცნიერო რედაქტორები არიან: პროფესორები: ვასილ კაჭარავა, ელენე მექმარიაშვილი და ანასტასია ზაქარაიძე, ხოლო ნიგნის თარგმნელები: ქეთევან მამულაშვილი, ლელა ებრაელიძე, ია ქვაჩაია და ქეთევან ჩიგოგიძე.“



## სენატის წევრ სტუდენტებს უნივერსიტეტის ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ

მესამე გვერდიდან

როგორ მოავგაროს კადრების საკითხი: „გნებავთ ატესტაცია ჩაატარეთ, გნებავთ კონკურსი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ხელს არ შეგიშლით. მთავარია, შიდა საკადრო პრობლემა მოგვარდეს და სტუდენტი არ დაზარალებს“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

ბის მხრიდან ისმის, მისაღებია, მაგრამ მასში ენების ცენტრი ნაკლებად და დამნაშავე. „უკვე მზად მაქვს პროექტი, რომელიც ფინანსურად ადმინისტრაციასთან არის გასავლელი. იგი იქნება ყოვლისმომცველი და შეეხება ყველა ფაკულტეტს. შემოგვაქვს ონლაინ კურსები და სწავლების სხვადასხვა ფორმები, რომლითაც სწავლების ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს. ამ საკითხებზე გვაქვს კონსულტაციები ამერიკის საელჩოსთან და პრიტანეთის საბჭოსთან. ვეცნობით ყველა პროფესორს, რომელიც იქნება ყველაზე მისაღები და თანაც ისე, რომ უნივერსიტეტი ფინანსურად არ დაზარალებს და, ამავე დროს, სისტემა იყოს მოქნილი“, — განაცხადა მან.

თარგმნის თაობაზეც და აღნიშნა, რომ უცხო ენის სწავლა (რაც აუცილებელია) ვერ ჩაანაცვლებს სახელმძღვანელოების თარგმნის აუცილებლობას, რადგან საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ ბაკალავრიატის დონეზე სწავლება უნდა იყოს ქართულ ენაზე და უმაღლესი სასწავლებელი ვალდებულია, სტუდენტს მშობლიურ ენაზე მისცეს განათლება. „არსებობს კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და უმაღლესი განათლების შესახებ, რომელიც არის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სტანდარტი, სადაც მკაფიოდ მოგვეთხოვება ქართულენოვან პროგრამებზე უზრუნველყოთ ქართულად განათლების მიღება. და როგორ უნდა უზრუნველყოთ ეს, თუ არ გვექნა

სახელმძღვანელოები ქართულად? აქ გვეკონდა ორი გზა, ერთი — ჩვენი პროფესორების მიერ სახელმძღვანელოების შექმნა, რაც საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ ეს სახელმძღვანელო ორიგინალურია და მეორე — მსოფლიოში აპრობირებული კლასიკური სახელმძღვანელოების თარგმნა, რითაც სტუდენტს ხელს შეეწყობთ სწავლაში. ეს არის ერთადერთი სწორი კურსი და უნივერსიტეტი ამ კურსს გააგრძელებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ უცხო ენის სწავლება კმაყოფილი ვიყოთ და მეტად არ გავაუმჯობესოთ“, — განაცხადა უნივერსიტეტის რექტორმა ლადო პაპავამ.

იტყვა, რომ საჭიროა, ყოველი ასეთი შემთხვევა მივიდეს შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციამდე, რომელმაც გარკვეული სანქციები უნდა გამოიყენოს პროფესორის ან თანამშრომლის მიმართ.

შეხვედრა შეჯამა უნივერსიტეტის რექტორმა, რომელმაც მზადყოფნა გამოთქვა, მიმართოს ყველა ზომას, რომ უნივერსიტეტში ზოგადად სწავლის და, კონკრეტულად, უცხო ენის სწავლების ხარისხი გაიზარდოს, ხოლო რაც შეეხება აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის ხარვეზებს, მომავალი სემესტრიდან უკვე ამოქმედდება სპეციალური კომისია მიერ შემუშავებული მექანიზმები, რომელიც სტუდენტთა მომსახურებას გააუმჯობესებს.



საერთაშორისო სემინარი

საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსამშრომლობის მიმართ

თამარ ლაღინი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიხეილ ნოდარს გეოფიზიკის ინსტიტუტმა 3 ნოემბერს გამართა საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსამშრომლობის მიმართ სემინარი...



სემინარის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო NATO-ს პარტნიორობის და თანამშრომლობის უსაფრთხოების კომიტეტი, რომელმაც დააფინანსა პროექტი „საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსამშრომლობის მიმართ“.

პროექტის მუშაობაში NATO-ს წევრი ქვეყნების გარდა, მონაწილეობას იღებდა NATO-ს პარტნიორი ქვეყნები საქართველო, აზერბაიჯანი და ყაზახეთი.

პროექტის ფარგლებში პირველი ოფიციალური შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა 3 ნოემბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით, ხოლო ენგურის მდინარეში სამუშაოების დასრულების შემდეგ 4-7 ნოემბერს განხორციელდა.

პროექტის დირექტორი NATO-ს წევრი ქვეყნებიდან იყო დოქტორი ალესანდრო ტიბალტი — მილანის ბიოკას უნივერსიტეტი (დედამინისა და გარემოს მეცნიერებების დეპარტამენტი), ხოლო პროექტის დირექტორი NATO-ს პარტნიორი ქვეყნებიდან — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი ნინო წერეთელი (თსუ-ის მ. ნოდარს გეოფიზიკის ინსტიტუტი). პროექტს ჰყავდა კოორდინატორი დირექტორები NATO-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების უნივერსიტეტებიდან: დოქტორები: ჯონ ჯორჯი — მიჩიგანის ტექნოლოგიის უნივერსიტეტი (აშშ), დერეკ რასტი (გაერთიანებული სამეფოს უნივერსიტეტიდან), აიგლ სულთანბეკოვა (დულათოვის ყაზახეთის ინჟინერიისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი), გულამ ბაბაევი (აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის უნივერსიტეტი).

სემინარში მონაწილეობდნენ აგრეთვე: ფაბიო ლუკა ბონალი (მილანის ბიოკას უნივერსიტეტი, დედამინისა და გარემოს მეცნიერებების დეპარტამენტი); ფედერიკო პასკუალე მარიოტო (იტალია, მილანის ბიოკას უნივერსიტეტი (დედამინისა და გარემოს მეცნიერებების დეპარტამენტი); პაოლო ოპიზი (შვეიცარია) და ანდრეი კრივჩენკო — (ყაზახეთის ინჟინერიისა და ეკონომიკის უნივერსიტეტი), ხოლო საქართველოს მხრიდან გარემოს დაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, გეოფიზიკის ინსტიტუტისა და „ენგურის“ თანამშრომლები.

პროექტი „საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოება გეოსამშრომლობის მიმართ“ პასუხობს ნატოს პრიორიტეტებს, როგორცაა ენერჯი ინფრასტრუქტურის უსაფრთხოება, ასევე, კატასტროფების პროგნოზირება და პრევენციული ღონისძიებების გატარება ბუნებრივი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად.

სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ დიდი გამოცდილების მქონე ექსპერტები ისეთ საკითხებში, როგორცაა - სეისმური, მენჯერული და ლავარცოფული სამშრომლობისა და რისკების შეფასება. მათ თავიანთ მოხსენებებში წარმოადგინეს კვლევები, რომელიც მსგავს საკითხებზე ჰქონდათ ჩატარებული სხვადასხვა პროექტის ფარგლებში. კვლევებით მიღებული შედეგების ექსპორტი განხორციელდება საქართველოში, აზერბაიჯანსა და ყაზახეთში.

სემინარის მუშაობის ფარგლებში იგეგმება ენგურის მდინარეზე ტერიტორიაზე მომხდარი ისტორიული მიწისძვრების შესწავლა, სეისმური სამშრომლობისა და რისკების შეფასება, აგრეთვე საკვლევი არეალის მიკროდარაიონებისა და მენჯერული სხეულების შესწავლა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. პროექტის ფარგლებშივე მოხდება მოსალოდნელი მენჯერების მოდელირება, მოსალოდნელი მიწისძვრების სცენარების გათვლა და მათი გავლენა ენგურ-ჰესზე.

ალსანიშნავია რომ, ენერგეტიკული უსაფრთხოება საქართველოსთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. დამოუკიდებლობის პირველი წლები მწვავე ენერგეტიკული კრიზისით ხასიათდებოდა, რაც გამოწვეული იყო რუსეთის მიერ საქართველოსთვის გაზის მიწოდების შეწყვეტით, რასაც დაერთო კორუფციის უაღრესად მაღალი დონე საქართველოს ენერგეტიკის სექტორში. ენერგეტიკულმა კრიზისმა კატასტროფული ზეგავლენა იქონია როგორც

გარემოზე (ტყეების განანაგება, ეროზია და ა.შ.), ისე ადამიანების ჯანმრთელობაზე (უხარისხო ნავთობპროდუქტების გამოყენება და ჰაერის დაბინძურება შენობებს შიგნით).

და აი, 20 წლის შემდეგ, საქართველოს ენერგოსაფრთხოება კვლავ მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმპორტირებულ ორგანულ საწვავზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური დამოკიდებულების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. ასევე მწვავედ დგას საქართველოში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის უსაფრთხოების შესწავლის საკითხი გეოსამშრომლობის მიმართ.

ენგურის არის საქართველოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც გამოიმუშავებს ელექტროენერჯის 40-42%-ს. ენგურის თაღვანი კაშხალი არის მსოფლიოში ერთერთი უდიდესი თავისი სიმაღლით, თაღვან კაშხალს შორის „იბარდი“ 1998 წლიდან ჩართულია ენგურის რეაბილიტაციაში და მისი დახმარებით მოხდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სრული რეაბილიტაცია. ამ ხნის განმავლობაში დაფინანსებულმა თანხამ 58 მილიონი ევრო შეადგინა.

რეაბილიტაციის პერიოდში შესრულდა თითქმის 5 კილომეტრის გალერებისა და გვირაბების რემონტი, რომელიც მოთავსებულია კაშხალის ტანში. სამუშაო მოიცავდა ცემენტაციას და ზედაპირის გამაგრებას. ასევე, განხორციელდა დისკურის საკეტების რემონტი, რომლის დანიშნულებაც ავარიის დარემონტის შემთხვევაში გვირაბის ჩაკეტვაა. ამჟამად ყველა მონყობილობა მუშაობს სტანდარტული ნესის შესაბამისად.

როგორც პროფესორი ნინო წერეთელი აღნიშნავს: ენგურის მიმდებარე ტერიტორია კარგად შესწავლილია, მაგრამ მისი დამატებითი შესწავლა ასევე მნიშვნელოვანია. პროექტის ფარგლებში მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობაც, რომლის

საშუალებითაც შესაძლებელია მოსალოდნელი საფრთხეების გათვლა და თავიდან აცილება.

„უცხოელი ექსპერტების გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ საქართველოში სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაც იგეგმება. მონვეულები გვეყავს კარგი სპეციალისტები, რომლებმაც რისკები უნდა უნდა განსაზღვრონ. რისკების იდენტიფიკაციის შედეგად კი, პრევენციული ზომების გატარება მოხდება. ამ პროექტის ფარგლებში ეს არის პირველი საერთაშორისო შეხვედრა, სადაც დაიგეგმება პროექტის მონაწილეების საქმიანობა მომდევნო 3 წლის მანძილზე“, — განაცხადა ნინო წერეთელმა.

მილანის ბიოკას უნივერსიტეტის პროფესორმა, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ალესანდრო ტიბალტიმ საინტერესო პრეზენტაცია წარმოადგინა

სეისმური, მენჯერული და ლავარცოფული სამშრომლობისა და რისკების შესახებ, და აღნიშნა, რომ სემინარის მუშაობის შედეგად დაიგეგმება ისეთი პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, რომელიც უნდა გატარდეს მიწისძვრებისა და მენჯერების დროს. საფრთხეების მეცნიერული შეფასება და დაზუსტება ისეთივე საჭირო და აუცილებელია, როგორც პრევენციული ზომების გატარება, — განაცხადა ალესანდრო ტიბალტიმ. ასევე საინტერესო მოხსენებით წარსდგნენ მსმენელის წინაშე ფაბიო ლუკა ბონალი, ფედერიკო პასკუალე, პაოლო ოპიზი, ჯონ ჯორჯი, დერეკ რასტი და სხვები.

NATO-ს პარტნიორი ქვეყნებიდან პროექტის დირექტორის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ნინო წერეთელის მოხსენება შეეხებოდა სეისმური სამშრომლობის ალბათურ გათვლებს, ასევე, კვლევებს რომელსაც გეოფიზიკის ინსტიტუტი ენგურის მდინარეში აწარმოებს.

მიხეილ ნოდარს გეოფიზიკის ინსტიტუტი ახორციელებს გეოდინამიკურ მონიტორინგს, რომელიც იძლევა კაშხალის ვიბრაციებზე დაკვირვების საშუალებას ფართოსიხშირიან დიაპაზონში, რაც გვიხატავს რეალურ სურათს კაშხალის მდგომარეობის შესახებ. ქართველმა მომხსენებლებმა უცხოელ ექსპერტებს მიანოდეს ასევე ინფორმაცია თანამედროვე გეოდინამიკურ პროცესებზე და წყალსაცავის მიმდებარე სივრცის გეომორფოლოგიური თავისებურებების შესახებ. ქართველი მეცნიერების მიერ განხორციელებული სამუშაოები საშუალებას იძლევა მოხდეს მოსალოდნელი რისკების იდენტიფიკაცია, რომელიც აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაში.



მისია 2015 — სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში

პირველი გვერდიდან

ყველა ფორმის, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობს, მადლობელი ვართ — განაცხადა მან.

„აღდეს ჩვენ ვაანონსებთ ახალ პროექტს, რომელსაც უნივერსიტეტი უკვე რამდენიმე წელია ატარებს, ეს არის „თიბისი“ ბანკისა და თსუ-ს თანამშრომლობის პირველი წელი. პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის მათი შესაძლებლობების გამოვლენის კუთხით. მათ ეძლევათ საშუალება, გარკვეული პერიოდის განმავლობაში გახდნენ ბანკის კომუნიკაციისა და მარკეტინგის ვიზუალური მენეჯერები. მათ მიეცემათ დაავალება და სამ გამარჯვებულ გუნდს შესაძლებლობა ექნება თავიანთი პროექტები განხორციელონ. პრა-

ქტიკულად, წარმატების შემთხვევაში, ისინი იქნებიან ამ პროექტების რეალური მენეჯერები. ახალგაზრდების განათლებაში ინვესტიციების ჩადება, დროისა და პოტენციალის დახარჯვა დიდი ხანია „თიბისი“ ბანკის პრიორიტეტი“, — აღნიშნა „თიბისი“ ბანკის საგარეო ურთიერთობებისა და მედია კომუნიკაციების დირექტორმა თამარ კირვალიძემ.

თსუ-ის სტუდენტური კონკურსი მარკეტინგსა და პიარში — „მისია“ უნივერსიტეტის ყოველწლიური პროექტია, რომელსაც უნივერსიტეტი და წარმატებული ქართული ბრენდი ერთობლივად ახორციელებენ. ყოველწლიურად კონკურსის მონაწილე ბრენდი იცვლება და კონკურსანტები ახალ იდეებს ახალი პარტნიორისთვის ქმნიან.

კონკურსის მიზანია სტუდენტების ახალი იდეების განხორციელებისა და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, კონკურსის გამარჯვებული სტუდენტების პარტნიორ კომპანიასთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა და სამომავლო დასაქმების პერსპექტივის ზრდა. კონკურსანტებს საშუალება ეძლევათ გახდნენ კომპანიის მარკეტინგისა და პიარის ვირტუალური მენეჯერები, დაგეგმონ კონკრეტული აქტივობები, გაიმარჯვონ კონკურსში, მოიპოვონ ფულადი პრემია და განხორციელონ თავიანთი იდეები.

კონკურსი ორ ეტაპად ხორციელდება: პირველ ტურში მონაწილეები უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ დავალებას ასრულებენ, წელს მონაწილეებს წიგნის მალაზიათა ქსელის „Scripta manent“ საკომუნიკაციო სტრატეგია-2015-ის მომზადება მოუწევთ, ხოლო მეორე ტურში ფინალისტი გუნდები პარტნიორი ბრენდის დავალებაზე იმუშავებენ.

კონკურსის საპრიზო ფონდი 5000 ლარს შეადგენს, რომელსაც გამარჯვებულ სამეულს „თიბისი“ ბანკი გადასცემს: I ადგილი — 2500 ლარი, II ადგილი — 1500 ლარი, III ადგილი — 1000 ლარი.

კონკურსი წელს მეხუთედ ჩატარდება. ოთხი წლის განმავლობაში სტუდენტურ კონკურსში მონაწილეობა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 200-მა გუნდმა მიიღო. გასულ წლებში კონკურსის პარტნიორი კომპანიები იყვნენ: „IDS ბორჯომი საქართველო“, „გეოპლანტი“, „ნატახტარი“ და „სანტე“.



# ახალი სახელმძღვანელო — „ოსური ფოლკლორი“

**29** ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სახელმძღვანელოს — „ოსური ფოლკლორის“ პრეზენტაცია გაიმართა. სახელმძღვანელოს ავტორია თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ხეთისო მამისიმიედიშვილი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში პირველად დაიბეჭდა ოსური ფოლკლორის სახელმძღვანელო. ნიგნი განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტებისა და ოსური ზეპირსიტყვიერების დაინტერესებული მკითხველისთვის.

## შურთხია ბაროშვილი

„ფოლკლორი არ არის მხოლოდ მხატვრული ტექსტი, ფოლკლორი არის ყველაფერი, რაც ხალხის ნიაღში იბადება და ემსახურება მას. ოსი ხალხის წარმოდგენები სამყაროზე, ადამიანზე, სამყაროში არსებულ საგნებსა თუ მოვლენებზე, მათ წარმოშობასა და დაწინაურებაზე აისახა მითოლოგიურ გამოცემებსა და სარიტუალო ტექსტებში“, — ასეთია სახელმძღვანელოს ავტორის, ხეთისო მამისიმიედიშვილის მოსაზრება, რომელიც უკვე რამდენიმე წელია კითხულობს ოსური ფოლკლორის სალექციო კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

„ოსური ფოლკლორი, როგორც სასწავლო კურსი და ოსი ხალხის ზეპირსიტყვიერების შემსწავლელი სამეცნიერო დისციპლინა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კავკასიოლოგიის საბაკალავრო პროგრამას 2007 წლიდან დაემატა. იმ დროიდან ვხელომდვანელომ ლექცია-სემინარებს „ოსურ ფოლკლორში“. სწორედ ლექცია-სემინარებზე იბადებოდა სახელმძღვანელოს შექმნის იდეა, რომლის ძირითადი ნაწილი 2012-2014 წლებში დაი-

წერა. სრულ ტექსტებზე მუშაობა, მათი უანრული კლასიფიკაცია, ახალ-ახალი მასალის მოძიება ნამდვილად გამოჩინულ შემოქმედებით პროცესს წარმოადგენდა“, — ამბობს სახელმძღვანელოს ავტორი.

ხეთისო მამისიმიედიშვილის ინფორმაციით, ნიგნი განხილულია რჩეული ოსური ხალხური ტექსტები, რომლებიც თავის დროზე დაწერეს და გამოაქვეყნეს აკადემიკოსებმა: ა. შოგერენმა, ა. შიფრანმა, ვ. მილერმა და სხვებმა. „ოსური ფოლკლორის სახელმძღვანელო დღემდე არ გამოქვეყნებულა არც რუსულ და არც ოსურ ენებზე, იგი პირველად თსუ-ის სტუდენტებისთვის დაინერა. ვფიქრობ, ოსი ხალხის ფოლკლორული შემოქმედების შესწავლა, კვალიფიციური, მაღალი კომპეტენციისა და პროფესიული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადება სასურველ ნაყოფს გამოიღებს და მოკრძალებულ წვლილს შეიტანს არა მხოლოდ სამეცნიერო დარგის განვითარებაში, არამედ თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაში“, — აღნიშნა ხეთისო მამისიმიედიშვილი.

პრეზენტაციაზე სახელმძღვანელოს ავტორმა მადლობა გადაუხადა კავკასიოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, პრო-



ფესორ ცირა ბარამიძეს, რომლის ხელმძღვანელობით და ინიციატივით თსუ-ის კავკასიოლოგიის ინსტიტუტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ოსოლოგიის შესწავლას. „მადლიერებას გამოვხატავ ასევე ქალბატონ ნაირა ბეპიევას მიმართ ოსური კულტურის პოპულარიზაციაში განუღიო ღვაწლისთვის. სახელმძღვანელოში გამოყენებულია ოსური დედნიდან ქართულ ენაზე ნაირა ბეპიევასა და მერი ცხოვრებასა მიერ მაღალი ოსტატობით თარგმნილი ხალხური ტექსტები. მადლობა მინდა გადავუხადო, ასევე, პროფესორ ზურაბ კიკნაძეს, რომელთანაც მრავალწლიანმა თანამშრომლობამ დიდი თეორიულ-მეთოდოლოგიური გამოცდილება შემიძინა. სწორედ მასთან ურთიერთობისას იბადებოდა „ოსური ფოლკლორის“ სახელმძღვანელოს შექმნის იდეა“, — აღნიშნა ხეთისო მამისიმიედიშვილი.



ჩატეხილი, ვერასდროს აღდგება, თუ ჩვენ ერთმანეთის კულტურა არ გვეცოდინება. ამისთვის კი აუცილებელია ლიტერატურულ კონტექსტშიც გამოვძებნოთ საერთო ენა, რადგან სხვა შემთხვევაში არ გვეცოდინება ის რეალობა, რომელიც დღეს არსებობს. მივესალმები სახელმძღვანელოს თარგმნის იდეას, რადგან ჩვენმა ოსმა ძმებმაც გაიგონ, თუ რას ვასწავლით ჩვენს სტუდენტებს. კავკასიოლოგია დაარსების დღიდანვე იყო პრიორიტეტული უნივერსიტეტში და მისასალმებელია, რომ ეს ტრადიცია ქალბატონი ცირას ხელმძღვანელობით კვლავ გრძელდება“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

როგორც პრეზენტაციაზე ითქვა, ნიგნი განკუთვნილია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის სპეციალისტებისა და ოსური ფოლკლორით დაინტერესებული მკითხველისთვის.



# „ახალი ცხოვრება“ დანტე — ორჰან ფამუქის შემოქმედებაში



**ფ**ილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, აღმოსავლეთმცოდნე თამარ ალფენიძეს ფართო საზოგადოება თურქი მწერლის, ნობელის პრემიის ლაურეატის ორჰან ფამუქის თარგმანებით იცნობს, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ფამუქის შემოქმედებით თამარ ალფენიძის დაინტერესება გაცილებით ღრმაა: სწორედ საკულტო თურქი მწერლის შემოქმედების, უშუალოდ კი ფამუქის „შავი ნიგნის“ შესახებ არის თამარ ალფენიძის სადისერტაციო ნაშრომი.

თანამედროვე თურქული ლიტერატურის გარდა, თამარ ალფენიძე კონსტანტინოპოლის დაცემის შემდგომ პერიოდსაც იკვლევს,

ასე რომ, მისი საჯარო ლექცია დანტე-ფამუქის „ახალი ცხოვრების“ შესახებ თურქი მწერლის თაყვანისმცემლებისთვის სერიოზული მოვლენა იყო.

ფამუქის შემოქმედება ჩვენში ფართოდაა წარმოდგენილი: შეიძლება ითქვას, რომ თურქი მწერალი დღესდღეობით თარგმან-გამოცემის რეიტინგში ერთერთ საპრიზო ადგილს იკავებს, რასაც ჩვენს მკითხველებში ფამუქის პოპულარობა განაპირობებს. ამასთან, ფამუქი შესაშური შემოქმედებითი ნაყოფიერებით გამოირჩევა და ლამის ორ წელიწადში ერთხელ ახალი რომანით ანეზივრებს საკუთარ თაყვანისმცემლებს, რომლებიც, საქართველოს მსგავსად, მთელს მსოფლიოში ჰყავს.

საჯარო ლექციის ფორმატში, რომელიც უნივერსიტეტის მარო მყაშვილის სახელობის დარბაზში გაიმართა, თამარ ალფენიძემ ფამუქის შემოქმედების რამდენიმე ასპექტზე გაამახვილა ყურადღება და შეეცადა, მსმენელებისათვის უფრო ღრმად დაენახებინა პოსტმოდერნისტი თურქი მწერალი.

„ერთხელ ერთი ნიგნი წავიკითხე, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა, სრულიად ჩავიძირე ნიგნში, თითქოს ჩემს ამბავს ყვებოდა, თან ვერ გავიგე — როგორ შეიძლება გავიგე კიდევ, მაგრამ დამაინყდა — მე ხომ სიკვდილს, უბედურებას, გამქრალ ნიშნებს შორის საკუთარი გზის პოვნას ვცდილობდი...“ — ამ სიტყვებით იწყება ორჰან ფამუქის 1994 წელს დაწერილი რომანი „ახალი ცხოვრება“, რომლის სათაურშივეა მინიშნება ნიგნზე, რომელმაც გმირის ცხოვრება შეცვალა.

„ახალი ცხოვრება“ მე-13 საუკუნის უდიდესი ფლორენციელი პოეტის დანტე ალიგიერის ნაწარმოებია, რომელიც ქართულად თამარ ჩხენკელმა თარგმნა და რომელსაც ნაკლებად იცნობს ფართო საზოგადოება. დანტეს შემოქმედების ცოდნის გარე-

შე კი თურქი პოსტმოდერნისტის რომანი, უბრალოდ, შეყვარებული მამაკაცის თავგადასავალია, რომელიც ნაწარმოების ბოლოს კვდება. რას ემსახურება მთავარი გმირის ხეტიალი თურქეთის ქალაქებში, ან მისი უცნაური სიყვარული ქალის მიმართ, რომელსაც სხვა უყვარს და რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც დაინახა და გულში ჩაუვარდა? ან რას ნიშნავს რომანში პირველი ფრაზა ნიგნზე, სადაც გმირის ამბავია მოთხრობილი?

სწორედ დანტესთან შეიძლება ამ კითხვებზე პასუხის პოვნა და სწორედ ამის შესახებ ესაუბრებოდა საჯარო ლექციაზე ფამუქის მკითხველებს თამარ ალფენიძე.

„როცა ფამუქზე მსჯელობ და ფიქრობ, აუცილებლად უნდა გაითვალისწინო ყველა ის ნიგნი, რომელიც მას აქვს წაკითხული, რომლებმაც მასში შექმნეს ის ადამიანი, რასაც წარმოადგენს. „ახალ ცხოვრებაში“ ფა-

მუქი ყველაზე მეტად ლაპარაკობს ნიგნებზე“, — აღნიშნა თამარ ალფენიძემ.

ზოგადად, ფამუქი ის მწერალია, რომლის შემოქმედებაშიც ევროპულ ლიტერატურასთან და კულტურასთან პარალელები და ალუზიები გაცილებით მეტია, ვიდრე აღმოსავლურთან. საჯაროდ, სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს თურქი მწერლის პოპულარობას ჩვენში, რადგან თურქული საზოგადოების მსგავსად, ჩვენთანაც მწვევედ შეიგრძნობა დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის ფორმების ძიება. ამიტომაც, ქართველი მკითხველისთვის ახლობელია ფამუქის გმირების თავგადასავალი, რადგან ნაცნობია ის კულტურული და ლირებულებითი კონფლიქტები, რომლის წინაშეც მოდერნიზებული თურქული საზოგადოება აღმოჩნდა.

**მომზადა ლელა კურდღელაშვილიმ**



# პირველი ერთობლივი კონფერენცია გეოგრაფიასა და ანთროპოლოგიაში

ალექსანდრე ჯავახიშვილის 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თსუ-ში

**თ**ბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. 22 ოქტომბერს გაიხსნა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა, ხოლო 22-24 ოქტომბერს, თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების ორგანიზებით გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის თანამედროვე პრობლემები“.

## მაია ტორაძე

გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, აკადემიკოსი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე და საქართველოში გეოგრაფიის, როგორც მეცნიერების ფუძემდებელი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც 17 წელი მუშაობდა ჯერ მოსკოვის, ხოლო შემდეგ ხარკოვის უმაღლეს სასწავლებლებში, პეტრე მელიქიშვილის შეთავაზებას დაუყოვნებლივ დათანხმდა და 1917 წელს თბილისში პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის გეოგრაფიის კათედრას ჩაუდგა სათავეში, ხოლო შემდეგ აქტიურად ჩაერთო პირველი ქართული უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ გამოქვეყნებულ ნერილში (№12, 2015) თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულეების ასოცირებული პროფესორი დალი ნიკოლაიშვილი, კობა ხარაძესთან ერთად, წერს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის ყველა სასწავლო სტრუქტურა, დეპარტამენტი, კაბინეტი, მუზეუმი, ბიბლიოთეკა ალექსანდრე ჯავახიშვილის დაარსებულია. იგი იყო ექიმთა და ბუნებისმეტყველთა



საზოგადოების კომისიის წევრი, რომელმაც შეადგინა უნივერსიტეტის სტრუქტურა და დაადგინა, რა საგნები უნდა ინახებოდეს პირველი სასწავლო წლის განმავლობაში. ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო საქართველოში გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის ფუძემდებელი. იგი იყო ასევე ქართულ ენაზე პირველი სახელმძღვანელოების ავტორი გეოგრაფიასა და გეოგრაფიის სხვადასხვა დარგში, მაგალითად, გეომორფოლოგიაში, პრიმატოლოგიაში, ლანდშაფტმცოდნეობაში, დემოგრაფიაში. მანამ, სანამ ალექსანდრე ჯავახიშვილი საქართველოში ჩამოვიდოდა, მოსკოვში გამოაქვეყნა ორტომული „საქართველოს ანთროპოლოგია“, რისთვისაც მოსკოვის ბუნებისმეტყველთა, ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა საზოგადოების უმაღლესი ფილიალი — რასცვეტოვის პრემია მიიღო. თბილისში მოღვაწეობის პერიოდში იგი იყო ძალიან ბევრი ფუძემდებლური სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, გახლდათ ფაკულტეტის დეკანი და დამაარსებელი. მისი სახელი ეწოდა რაჭის კავკასიონზე ერთერთ მწვერვალს.

სწორედ ამ ადამიანს, ქართული მეცნიერების უდავოდ თვალსაჩინო წარმომადგენელს, მიეძღვნა უნივერსიტეტში ღონისძიებათა სერია, რომელსაც არაერთი უცხოელი მეცნიერი დაესწრო. ღონისძიების ორგანიზებაში დიდი წვლილი შეიტანა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის მიმართულეებმა, რომელსაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სრული მხარდაჭერა გამოუცხადა, თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტმა და საქართველოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ.

საიუბილეო ღონისძიებებისთვის მომზადდა და გამოიცა ალექსანდრე ჯავახიშვილის თხზულებათა 5-ტომის III ტომი — „საქართველოს გეომორფოლოგია“, რომელსაც დართული აქვს 15-რუკიანი ატლასი, ალექსანდრე ჯავახიშვილის ბიობიბლიოგრაფია და კობა ხარაძის წიგნი — „დიდი მამულიშვილის ღირსეული ღვაწლი“.



„საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც ალექსანდრე ჯავახიშვილის იუბილეს ფარგლებში იმართება, 11 ქვეყნის 200-ზე მეტი მეცნიერი, მათ შორის 30 უცხოელი სტუმარი მონაწილეობს. ამ ღონისძიებებში ჩვენ პატივს მივაცხადებთ, მართლაც, ამგვარ ადამიანს, რომელმაც მთელი სიცოცხლე საქართველოში გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის მეცნიერებების განვითარებას მიუძღვნა“, — განაცხადა თსუ-ის პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა ჩვენთან საუბარში.

გამოფენაზე, რომელიც ალექსანდრე ჯავახიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავდა, თსუ-ის მუზეუმის ძალისხმევით, გამოიფინა მისი პირადი ნივთები, ნაშრომები და ფოტომასალა, რომელიც მეცნიერის არაერთ ექსპედიციას ასახავდა. გამოფენის გახსნაზე უცხოელ და ქართველ მეცნიერებს მიესალმნენ მუზეუმის ხელმძღვანელი მაია გურაბანიძე, თსუ-ის პრორექტორი მერაბ ელიაშვილი, თსუ-ის ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი ნანა ბოლაშვილი და სხვები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერის იუბილეს ფარგლებში დაიბეჭდა სოფელ ძევერაში მდებარე მისი სახლმუზეუმის გაზამკვეთი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

ამავე ღონისძიების ფარგლებში მოეწყო კობა ხარაძის დოკუმენტური ფილმის — „დიდი მამულიშვილი, აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილი“ — ჩვენება.

„დღეს, მართლაც, მნიშვნელოვანი დღეა ჩვენს უნივერსიტეტში, რადგანაც უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი — ალექსანდრე ჯავახიშვილის დაბადებიდან 140 წლის იუბილე აღინიშნება. პირველად, ალბათ როგორც ბევრმა სხვამ, მისი სახელი გავიგე მე-6 კლასში, როცა გეოგრაფიის სახელმძღ-

ვანელო ვნახე და, ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, რადგან მანამდე მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის შესახებ მსმენოდა. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო და მის იუბილეზე მექნებოდა გამოსვლის პატივი. ამით იმის თქმა მინდა, რომ სწორედ ალექსანდრე ჯავახიშვილი დაინსუო ბევრი ჩემი თაობის ადამიანისთვის ჩვენი ქვეყნის, მისი გეოგრაფიის, მისი თავისებურებების გაცნობა. დღეს ჩვენ პატივს მივაცხადებთ დიდ მეცნიერს, მოღვაწეს, გამორჩეულ ადამიანურ თვისებების მქონე პიროვნებას, რომელმაც მონაფუძის არა ერთი თაობა გაზარდა. ამ თაობის მნიშვნელოვანი ნაწილი აქ არის წარმოდგენილი. ეს ის ნაწილია, რომელიც აგრძელებს ქართული გეოგრაფიული მეცნიერების ტრადიციებს, რომელსაც ამ უნივერსიტეტში ალექსანდრე ჯავახიშვილმა ჩაუყარა საფუძველი. აღსანიშნავია, რომ მეცნიერების ამ დარგით ჩვენი ახალგაზრდობის დაინტერესება ძალზე დიდია და ეს საკმაოდ კარგია“, — განაცხადა ფილმის წარდგენისას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა დალი პაპავამ.

გარდა სამეცნიერო ღონისძიებებისა, ალექსანდრე ჯავახიშვილის საიუბილეოდ, თბილისში ერთერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა. ასევე გაიხსნა მისი სახელობის აუდიტორიები ქუთაისისა და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტებში, ხოლო სოფელ ძევერაში მდებარე საშუალო სკოლას დაუბრუნდა დიდი მეცნიერის სახელი.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა ერთობლივად, რითაც ხაზი გაესვა, რომ ამ ორი მეცნიერების ფუძემდებელი საქართველოში ალექსანდრე ჯავახიშვილი იყო.

## წინდა გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიის კონკურსის — „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ შედეგები

**ჭ**ყონდიდელი მიტროპოლიტი პეტრეს ლოცვა-კურთხევით წმ. გიორგი ჭყონდიდელის სახელობის აკადემიამ 2015 წლის, 23 სექტემბერს კონკურსში „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“ გამარჯვებულები დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიაში მონაწილეობდნენ: სასულიერო პირები, ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები, ლიტერატორები, ანსამბლი „მოდხილი“, კვარტეტი „ჰანგები“, „ოთატრალური“ კვარტეტი და მუსიკოსი დავით არჩვაძე. ღონისძიების მხარდამჭერები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს დიასპორის სამინისტრო, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო ფონდი „იკანანა“, საერთაშორისო ფონდი „მემკვიდრეობა“, „განათლების სახლი“, საინფორმაციო-ანალიტიკური მედიაპორტალი kvira.ge და რადიო „ფორტუნა“.

კონკურსი ჩატარდა საქართველოს მასშტაბით და მოიცვა ორი ეტაპი. დასკვნით ტურში გავიდა 157 მონაწილე. კონკურსის დებულების თანახმად საკონკურსო კომისიის შეფასებით:

ა) პირველ საკონკურსო ჯგუფში საჯარო და კერძო სკოლების მეათე — მეთორმეტე კლასის მოსწავლეებს შორის გამოვლინდა 3 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომითა და 300 (სამასი) ლარით:

**ქალაქი სენაკი 7 საჯარო სკოლა მე-11 მოსწავლე ილია ქვარცხავა**

თემა: „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“  
რეცენზენტი: ისტორიის პედაგოგი ლამარა გეგენავა

**სსიპ. 115-ე საჯარო სკოლა XI/1 კლასის მოსწავლე მალხაზ არაბული**

თემა: „საქართველო დავით აღმაშენებლის დროს“  
რეცენზენტი: ისტორიის პედაგოგი სოფიო თულაძე

**წინონინდის რაიონის სოფ. ეშტიის პირველი საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლე სათიკ იაყიანი**

თემა: „დავით აღმაშენებელი“  
რეცენზენტი: სკოლის დირექტორი, ქართული ენის პედაგოგი ბერნიკე ჰოვსეფიანი

ბ) მეორე საკონკურსო ჯგუფში უმაღლესი სასწავლებლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებიდან გამოვლინდა 2 გამარჯვებული, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომითა და 600 (ექვსასი) ლარით;

**დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მედიის სკოლის IV კურსის სტუდენტი ლია თედიაშვილი**

თემა: „დავით აღმაშენებელი თანამედროვე სატენერაში“  
რეცენზენტი: პროფესორი გიორგი კალანდია

**ხელნაერთა ეროვნული ცენტრის გამოფენისა და განათლების დეპარტამენტის მეცნიერ-თანამშრომელი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პუბლიცისტური მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი ნიკოლოზ ულენტი**

თემა: „მეფე დავით IV-ის (1089-1125 წწ.) „აღმაშენებლად“ მოხსენიების პირველი ოფიციალური პრეცედენტი“

რეცენზენტები: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის დოქტორი გიორგი ოთხმეზური და ხელნაერთა ეროვნული ცენტრის წყაროთმცოდნეობისა და დიპლომატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი მზია სურგულაძე.

გ) მეოთხე საკონკურსო ჯგუფში სხვა დამოუკიდებელი მონაწილეებიდან გამოვლინდა 1 გამარჯვებული, რომელიც დაჯილდოვდა დიპლომითა და 600 (ექვსასი) ლარით;



**ყვარელი, სოფ. ენისელში მცხოვრები მწიგნობარი ნიკოლოზი ალექსანდრე გიგიაშვილი**


თემა: „საქართველო დავით აღმაშენებლის ეპოქაში“

დ) მესამე საკონკურსო ჯგუფში უმაღლესი სასწავლებლების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პედაგოგთა და მეცნიერთანამშრომელთა შორის გამარჯვებული არ გამოვლინდა.

კონკურსის ყველა მონაწილე და გამარჯვებული თემის რეცენზენტები, წარმომდგენი ორგანიზაციები და კონკურსის მხარდამჭერები დაჯილდოვდა სიგელითა და სიმბოლური საჩუქარით. ჯილდოები გადასცეს წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიის თავმა,

ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა პეტრემ (ცაავა), საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მანგლელმა მიტროპოლიტმა ანანია (ჯაფარიძე), საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახ. განათლების ცენტრის თავმჯდომარემ, რუსთავის ეპარქიის მიტროპოლიტმა იოანემ (გამრეკელი), წმინდა გიორგი ჭყონდიდელის აკადემიის რექტორმა, პროფესორმა მალხაზ ბაძალუამ, საკონკურსო კომისიის წევრებმა: სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ჯემალ გამახარიაძემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ზურაბ პაპასკირმა და სხვებმა.

# არჩილ თეთრაულისა და ზურაბ სოსელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა



თამარ ღაღინი



წინა წლებში უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში ტრადიციულად იქცა იმ გარდაცვლილ მეცნიერთა გახსენება, რომლებმაც ღირსეული ცხოვრებითა და სამეცნიერო მოღვაწეობით წარუშლელი კვალი დატოვეს ქართული მეცნიერების განვითარებისა და პოპულარიზაციის საქმეში.

7 ნოემბერს აღნიშნულ ინსტიტუტში გაიმართა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების არჩილ თეთრაულისა და ზურაბ სოსელიას საიუბილეო თარიღებისადმი მიძღვნილი სხდომა, რომელიც გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა რამაზ აბესაძემ. სხდომაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა, საქართველოს ფინანსთა მინისტრი, თსუ-ის პროფესორი ნოდარ ხადური და ქვეყნის ეკონომიკური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ასევე ბატონი არჩილისა და ბატონი ზურაბის ოჯახის წევრები.

„არიან ადამიანები, რომელთაც თავიანთი მოღვაწეობით და ადამიანური თვისებებით წარუშლელი კვალი დატოვეს მეგობრებისა და საზოგადოების მესხიერებაში. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები არჩილ თეთრაული და ზურაბ სოსელია.“

ამ ორი შესანიშნავი პიროვნების ერთდროულად გახსენება განაპირობა იმან, რომ ორივეს წელს შეუსრულდა დაბადებიდან საიუბილეო თარიღი და ორივემ ერთად გაიარა ყველა საფეხური უმცროსი მეცნიერი თანამშრომლიდან — განყოფილების გამგემდე.“

წელს არჩილ თეთრაული — 80, ზურაბ სოსელია — 60 წელი შეუსრულდებოდა. ისინი ამ ქვეყნიდან წავიდნენ უდროოდ, მათ ჯერ კიდევ შეეძლოთ ბევრის გაკეთება ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ბატონი არჩილ თეთრაული გამოირჩეოდა ეკონომიკის სიღრმისეული ცოდნით, კვლევის ფართო დიაპაზონითა და ნაშრომთა სიუხვით. მან სტუდენტობის წლებიდანვე გამოავლინა მეცნიერისთვის დამახასიათებელი თვისებები: ნიჭიერება, დიდი ნებისყოფა, შრომისუნარიანობა და, რაც მთავარია, მეცნიერებისადმი სიყვარული.

ბატონმა არჩილმა განსაკუთრებული ორგანიზატორული ნიჭი გამოავლინა საგანმანათლებლო სფეროში, როდესაც მან დააარსა უმაღლესი სასწავლებელი, რითაც ხელი შეუწყო საბაზრო ეკონომიკისთვის კვალიფიციური კადრების აღზრდას და პროფესორ-მასწავლებელთა დასაქმებას, მათ იმ დროისთვის ყველაზე მაღალ ხელფასს უხდიდა.

ბატონი ზურაბი სოსელია კი გამოირჩეული პიროვნება იყო თავისი განათლების დონით, კულტურით, ნესიერებითა და პიროვნული სიბრძნით.

ბატონი ზურაბი იყო ერთ-ერთი გამოჩენილი მეცნიერი ეკონომიკისა, განსაკუთრებით, სამრეწველო წარმოების, მიკროეკონომიკისა და სამეურნეო რეფორმების სფეროში. უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს ფორმირებაში მისი როლი ძალზე მნიშვნელოვანია, — ამ სიტყვებით გახსნა პროფესორმა რამაზ აბესაძემ საიუბილეო სხდომა.

ხსოვნის საღამოზე კოლეგებმა და მეგობრებმა ამ ორი გამოჩენილი მეცნიერისა და მეცნიერების ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ისაუბრეს. არ არის ადვილი ისაუბრო ადამიანებზე, მეგობრებზე, კოლეგებზე წარსულ დროში, რომელთაც წარუშლელი კვალი დატოვეს და რომელთა გახსენებას, სიტბოს და სიყვარულთან ერთად, ცრემლი, მონატრება და ტკივილი მოაქვს. სწორედ ამ სიტბოთი და ტკივილით იყო გაჯერებული თითოეული მომხსენებლის სიტყვა და მოგონება.

ხსოვნის საღამოზე მოხსენებებით გამოვიდნენ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მურმან კვარაცხელია და ამავე ინსტიტუტის სწავლული მდივანი ლინა დათუნაშვილი, რომელმაც პროფესორ იაშა მესხიას მოხსენება წაიკითხა, რომელიც საპატიო მიზეზის გამო ვერ ესრებოდა სხდომაში. მომხსენებლებმა კიდევ ერთხელ შეახსენეს კოლეგებს ორივე მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები და გამორჩეული ღვაწლი ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

„პროფესორ არჩილ თეთრაულს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში. ამაზე მეტყველებს მის მიერ გამოქვეყნებული 150-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 12 მონოგრაფიული გამოკვლევა. აღსანიშნავია, რომ პროფესორ არჩილ თეთრაულს ამ ნაშრომებს საქართველოს ეკონომიკური აზრის ისტორიაში დღესაც მეცნიერული ღირებულება გააჩნიათ.“

პროფესორ არჩილ თეთრაულს მეცნიერული კვლევის თვალსაჩინო მეტად ფართოა. იგი მოიცავს როგორც ეკონომიკური თეორიის, ისე მაკროეკონომიკის და მიკროეკონომიკის პრობლემებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ეროვნული ეკონომიკის კვლავნარმოებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კანონზომიერებაზე, როგორც თეორიული, ისე გამოყენებითი ხასიათის საკითხების დამუშავებაში, — აღნიშნა მურმან კვარაცხელიამ.

ზურაბ სოსელიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი პერიოდები იყო ასახული პროფესორ იაშა მესხიას მოხსენებაში, მისი განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს კონტროლის პალატის კომპლექსურ რეფორმაში: „ბატონი ზურაბი 2004 წელს საქართველოს პარლამენტმა აირჩია საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარედ. მისი ხელმძღვანელობით კონტროლის პალატა იქცა ერთ-ერთი სანიმუშო დაწესებულებად არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ამას ხშირად უსვამდნენ ხაზს პალატაში მომუშავე საერთაშორისო ექსპერტები.“

სანიმუშო და მისაბაძი იყო ბატონი ზურაბის სიმშვიდე და სიღრმე კრიტიკულ მომენტებში. პალატის მუშაობას ხელს უშლიდა ყველა, განსაკუთრებით პრეზიდენტის ადმინისტრაცია. მათი დაკვეთები შერჩევით სამართალზე ბატონი ზურაბისთვის მიუღებელი იყო, მაგრამ ამას იგი აუღელვებლად პასუხობდა, — აღნიშნა იაშა მესხიამ, რომელმაც კიდევ ბევრი ფაქტი გაიხსენა ზურაბ სოსელიას პრინციპულობასა და პოზიტიურ თვისებებზე.

თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ განსაკუთრებული სიტბოთი და ტკივილით ისაუბრა გარდაცვლილ კოლეგებზე: „მათ დიდი წვლილი მიუძღვით ახალგაზრდა კადრების გაზრდაში, ქართული ეკონომიკური სკოლის გაძლიერებასა და ქართული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძვლების განმტკიცებაში. სამწუხაროდ, ისინი დღეს ცოცხლები აღარ არიან.“

ეკონომიკის ინსტიტუტს შესანიშნავი ტრადიცია აქვს, გაიხსენონ გამოჩენილი მოღვაწეები და საკადრისი პატივი მიაგოს მათ ხსოვნას, — აღნიშნა აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

ფინანსთა მინისტრმა, პროფესორმა ნოდარ ხადურმა ისაუბრა იმ მოგონებებზე, რომლებიც აკავშირებდა, როგორც ბატონ არჩილ თეთრაულთან, ისე ბატონ ზურაბ სოსელიასთან.

„უპირველეს ყოვლისა, მსურს მადლობა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტს, რომლებიც არ ღალატობენ ტრადიციას და გამოჩენილი ქართველი მეცნიერების ხსოვნის საღამოებს მართავენ. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ვიცოდეთ წინა თაობის ეკონომისტების მოღვაწეობა და მათი დამსახურება საქართველოს განვითარების საქმეში. დღეს ორი ძალიან პატივსაცემი ადამიანის ხსოვნის საღამო გაიმართა.“

ყველას დაგვწყვიტა გული ბატონი ზურაბ სოსელიას გარდაცვალებამ, რომელიც წლებს ნინ ჩემი კოლეგა იყო. იგი შესანიშნავი მეცნიერი გახლდათ. სამწუხაროდ, ძალიან ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან. დღეს კი მას ვიხსენებთ, როგორც დიდ მეცნიერსა და ადამიანს, რომელმაც ძალიან ბევრი გააკეთა დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკური სისტემის ფორმირებისთვის, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა.

„კაცი რომელიც დააკლდა ყველას“ — ამ სიტყვებით დაიწყო ზურაბ სოსელიას მოგონება პროფესორმა მერაბ კაკულიამ. მას მეცნიერთან ახლო მეგობრული და პროფესიული ურთიერთობა აკავშირებდა და მისი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის მთავარ მიზეზად იმდროინდელ პოლიტიკურ ბოზონთან გარ-

თულებული ურთიერთობა დაასახელა: „მას კონტროლის პალატის თავმჯდომარეობა იმ დროს მოუწია, როდესაც ყალიბდებოდა ავტორიტარული რეჟიმი მისთვის დამახასიათებელი ისეთი ატრიბუტებით, როგორცაა პოლიტიკური ანგარიშსწორება, კანონის უზენაესობის ხელყოფა, ფავორიტიზმი და ელიტური კორუფცია. მიუხედავად ამისა, ზურაბმა ამ თანამდებობასაც ღირსეულად გაართვა თავი. არ გარეულა პოლიტიკურ ინსინუაციებში და არ მიუღია მონაწილეობა ადამიანების უკანონო დევნაში. მუდმივ ზენოლასა და ემოციურ დატვირთვას უკვალოდ არ ჩაუვლია და სწორედ ეს გახდა მისი ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლის მიზეზი“, — აღნიშნა მერაბ კაკულიამ.

„ყველაზე მთავარი, რაც ბატონ არჩილთან დაკავშირებით მახსენდება, არის მისი უაღრესად მზრუნველი და ჭეშმარიტად მამობრივი დამოკიდებულება ახალგაზრდა მეცნიერების მიმართ. იგი ყველაფერს აკეთებდა მათი ცოდნის დონის ამაღლებისა და საკარიერო წინსვლის მიზნით. ალბათ, არც ის არის შემთხვევითობა, რომ ბატონი არჩილის განყოფილება მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერებისგან შედგებოდა.“

ბატონი არჩილი პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანი გახლდათ. მისი ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, რომლებმაც განათლების სფერო სარფიანი და მომგებიანი ბიზნესის წყაროდ აქციეს. მისი სტრატეგიული ჩანაფიქრი ორ მიზანს ემსახურებოდა: ახალგაზრდობისთვის მიეცა საჭირო პროფესიული ცოდნა, კოლეგებისთვის კი „სოციალური უსაფრთხოების“ ელემენტარული პირობები უზრუნველყო, — აღნიშნა პროფესორმა ელგუჯა მექვაბიძემ, რომელმაც დიდი გულიანად ტკივილით გაიხსენა ზურაბ სოსელიასთან ერთად გატარებული ახალგაზრდობის წლები.

საიუბილეო სხდომაზე მოგონებებით გამოვიდნენ ასევე მეცნიერები: ნუკრი ზაქარიაძე, მირიან ტუხაშვილი, ნანული არევაძე, გულნაზ ერქომაიშვილი, და სხვები.

მეცნიერთა პატივსაცემად გამოიცა პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ „ეკონომისტის“ სპეციალური ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია კოლეგებისა და თანამშრომლების მოგონებები.

არჩილ თეთრაულის ქალიშვილმა, პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ციცინო თეთრაულმა, მადლიერება გამოხატა ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, რამაზ აბესაძის მიმართ და აღნიშნა რომ: „ბატონი რამაზი არის ინსტიტუტის თავდადებული დირექტორი და უნიჭიერესი მენეჯერი. მას არასდროს ავიწყდება გარდაცვლილი კოლეგების ღვაწლი და ასეთი ღონისძიებებით სათანადო პატივს მიაგებს მათ ხსოვნას.“ მან ასევე მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორს, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას, რომელიც ყოველთვის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებს არჩილ თეთრაულს და არასდროს ავიწყდება მისი ამაგი და დამსახურება.

საიუბილეო საღამოს ბოლოს, ზურაბ სოსელიას ვაჟმა დავით სოსელიამ, რომელმაც მიმდინარე წელს ეროვნულ გამოცდებზე 40 ათას აბიტურიენტს შორის თავისი ქულებით პირველი ადგილი დაიკავა მთელ საქართველოში და სან-დიეგოს უნივერსიტეტში ჩაირიცხა კომპიუტერული ინჟინერიის მიმართულებით, უდრმესი მადლობა გადაუხადა ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივს, მამის კოლეგებსა და მეგობრებს ზურაბ სოსელიას ღვაწლის დაფასებისთვის.



# გიორგი ანდრაზაშვილის შემოქმედებით სალამოზე



„ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანია საკუთარი თავის განვითარებაზე ზრუნვა, რისთვისაც აუცილებლად მიმართავ განუწყვეტელი სწავლა და მუხლჩაუხრელი შრომა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იმედი მაქვს, რომ ლირსულ სამსახურს გავეუწევ არა მხოლოდ ჩემს სამშობლოს, არამედ მთელს მსოფლიოს“, — ასეთი თამამი განცხადება წარსდგა მსმენელის წინაშე თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი გიორგი ანდრაზაშვილი 27 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გამართულ საკუთარ შემოქმედებით სალამოზე.

გიორგი დღეს ჯარისკაცია და სამხედრო მოვალეობას, შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მივლინებით, ბიბლიოთეკის დაცვის სამსახურში იხდის. სწორედ აქ დაინტერესდნენ ბიბლიოთეკის ადმინისტრაციის თანამშრომლები გიორგის შემოქმედებით და გადაწყვიტეს მისი საოცარი ნიჭიერების წარმოსაჩვენად ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზი დაეთმოთ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა გიორგი კეკელიძემ ნიჭიერი და მოტივირებული ახალგაზრდა მამიკაშვილი შეამჩნია და ჩუმად ადევნებდა თვალყურს მის საქმიანობას: „როდესაც შემოვიღივარ სამსახურში, ვხედავ — როგორი მონდომებითა და გულსისყურით კითხულობს გიორგი მისი ასაკისთვის შეუფერებელ საკმაოდ მნიშვნელოვან და სერიოზულ ლიტერატურას, რაც ახალი თაობის ადამიანისთვის მართლაც იშვიათი ამბავია. გიორგი არა მარტო ლიტერატურაში, არამედ სხვა სფეროებშიც საკმაოდ კომპეტენტური და განსწავლულია. საოცარია, ამ ასაკის ახალგაზრდამ ამდენი რამის ცოდნა როგორ მოასწრო“, — გვითხრა ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, მწერალმა გიორგი კეკელიძემ.

„ნიჭიერება, უმთავრეს შემთხვევაში ღვთის წყალობაა, ღვთისგან მიღებული „სესხია“ და თუ ადამიანი ამ ვალის გაცემას დროულად დაიწყებს, საკუთარი თავის აღმოჩენის კარგი შანსი ეძლევა. ასეთ ადამიანს არ რჩება დრო ვინმეზე გაბრაზდეს, აწყენინოს, იგი თავის თავში ეძებს ღვთისგან ბოძებულ ნიჭს და მის განვითარებაზე ზრუნავს. აი, ასეთი ახალგაზრდაა გიორგი ჩემთვის. მან შეძლო საკუთარ თავში აღმოეჩინა ის შესაძლებლობები, რომლებიც მის ცხოვრებას უფრო საინტერესოს და გამორჩეულს გახდის“, — აცხადებს ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი ნინო გედენიძე.

შემოქმედებით სალამოზე გიორგი ანდრაზაშვილის ლექსებს ცვლიდა მუსიკალური პაუზა — მის მიერვე შესრულებული ბეთჰოვენის, შოპენის, ლისტის ნაწარმოებები.

„ადრე მუსიკალურ სკოლაში დავდიოდი, განსაკუთრებით მიზიდავდა ბეთჰოვენი, ლისტის, შოპენი, რახმანინოვი. ყოველთვის მიწოდდა „მთვარის სონატის“ დაკვრა. შემდეგ რთულმა, ლამაზმა და მელოდურმა ნაწარმოებებმა გამიტაცა. ლისტის ჩემთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა, ახლა მისი „უნგრული რაფსოდია“ დამუშავებას ვცდილობ და ვატყობ, რომ ის ტემპი, რომლითაც ვმეცადინებო, საკმარისი არ არის. ჩემი აზრით, დრო რომ მქონდეს, პრობლემა მოიხსნებოდა“, — გვითხრა გიორგი ანდრაზაშვილმა.

მსმენელი ალაფრთოვანა ჰაინრიხ ჰაინეს ლექსების მისეულმა თარგმანმა და გერმანულ ენაზე, ფრიდრიხ შილერის „ყაჩაღებიდან“ ფრანც შიორის როლის ემოციურმა შესრულებამ. პოეტის, მუსიკოსის, თარგმანისა და მსახიობის ამპლუას ახალგაზრდა ხელოვანი ერთნაირი ოსტატობით ირგებდა.

„ძალიან მიყვარს საქართველოს ისტორია, ასევე, ფიზიკა-მათემატიკა, მინდა კარგად ვერკვეოდე სამართალწარმოება-

ში, უზომოდ ვარ შეყვარებული ძველ ქართულ ლიტერატურაზე, მაინტერესებს თითქმის მეცნიერების ყველა დარგი, მიტაცებს მუსიკა, თეატრი, ლიტერატურა.

პატივს ვცემ და ვიზიარებ მართლმადიდებლურ-ქრისტიანულ ღირებულებებსა და ფასეულობებს. თავისუფალ დროს მიყვარს დიდი მეცნიერების ნაშრომების კითხვა ფიზიკაში, მათემატიკაში, ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში რუსულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე“, — ამბობს გიორგი და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხალხურ საკრავთა ანსამბლ „საუნჯესა“ და მის ხელმძღვანელ ლევან ქორიძესთან ერთად სალამოზე ზაქარია ფალიაშვილის, რევაზ ლაღიძის, ვიქტორ დილიძისა და სხვა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს ისეთივე ოსტატობით ასრულებს, როგორც ლისტისა და ბეთჰოვენის ნაწარმოებებს.

20 წლის სტუდენტის გიორგი ანდრაზაშვილის შემყურე იფიქრებდით, რომ ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია. იგი ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია. დამთავრებული აქვს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42-ე საჯარო სკოლა, პარალელურად, ხელოვნებასაც ეზიარება.

მართალია, გიორგი თავის პირველ შემოქმედებით სალამოზე ძალიან ღელავდა, მაგრამ ამას საკუთარი ნიჭიერების ზემოქმედების ხელი არ შეუშლია. მან შესძლო მყურებლად თავისი ემოციის, განცდის მიტანა და მსმენელი საკუთარი შემოქმედების ფანებად აქცია.

მომზადდა თამარ დანიანმა

## რა დაიბეგა სვიმონ კლდიაშვილის ნამუშევართა პოპულარიზაციისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წლევანდელი წელი ქართველი არქიტექტორის სვიმონ კლდიაშვილის 150 წლის იუბილეს მიუძღვნა. საზოგადოების ფართო წრეებისთვის კლდიაშვილი ცნობილია, როგორც მხოლოდ უნივერსიტეტის შენობის ავტორი. სინამდვილეში არქიტექტორის მოღვაწეობა ბევრად მრავალფეროვანი გახლდათ. სვიმონ კლდიაშვილის განსაკუთრებული ღვაწლის და ბიოგრაფიის პოპულარიზაცია იყო ბიოგრაფიული ფილმის შექმნის მიზანიც. ფილმი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორის ნინო კაკულიას ხელმძღვანელობით გადაიღო შემოქმედებითა ჯგუფმა. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინიციატივით დაიგეგმა და გაიმართა რამდენიმე ღონისძიება. დიდი არქიტექტორის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებულ ერთწლიან პროექტზე გვესაუბრა ხელოვნებათმცოდნე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომელი სალომე ჭანტაშვილი.

— არასამთავრობო ორგანიზაცია „ძეგლის მეგობარი“-ს სახელით, მე და მარიამ გურგენიძემ ბატონ ზურაბ გაიპარაშვილს შევთავაზეთ გაგვეკეთებინა სხვადასხვა ღონისძიება სვიმონ კლდიაშვილის 150 წლის იუბილესთან დაკავშირებით. იდეა გავაცანით რექტორს და დავგეგმეთ ღონისძიებათა ციკლი, რომელიც მთლიანად ამ წლის ფარგლებში განხორციელდება.

დავგეგმეთ გამოფენის მომზადება, კატალოგის გაკეთება, ფილმის გადაღება. გვინდოდა ინიციატივა გაგვეფლდებინა იმის შესახებ, რომ თბილისის რომელიმე ქუჩას მინიჭებოდა სვიმონ კლდიაშვილის სახელი. ჩვენი სამუშაოების პირველი ეტაპი იყო სვიმონ კლდიაშვილის შესახებ მასალების მოძიება. რამდენიმე თვის განმავლობაში ვიმუშავეთ საქართველოს ეროვნულ არქივში, ხელნაწერთა ცენტრში. მოვახდინეთ კლდიაშვილის მიერ შესრულებული პროექტების იდენტიფიკაცია. გადავიღეთ სახლების ფოტოები, ძველი და ახალი მასალა დავაჯგუფეთ და პირველ ეტაპზე გავაკეთეთ გამოფენა, რომელიც მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის მხარდაჭერით. 130-მდე ფოტო წარმოვადგინეთ. ეს იყო სვიმონ კლდიაშვილის მიერ შესრულებული პროექტები, აგებული სახლების ძველი და ახალი ფოტო მასალა, პირადი ფოტოარქივი. ეროვნულმა არქივმა ერთი დღით გვათხოვა სვიმონ კლდიაშვილის მიერ შექმნილი ორიგინალი პროექტები. საბოლოოდ, საკმაოდ მასშტაბური ღონისძიება გამოვიდა. გაკეთდა ბიოგრაფიული ფილმი, რომელიც უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორმა ნინო კაკულია მოამზადა. ფილმი დიდი არქიტექტორის ცხოვრებას და შემოქმედებას სრულად ასახავს.

— სვიმონ კლდიაშვილის იცნობენ როგორც არქიტექტორს, რომელმაც ააშენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მაგრამ არ იციან მისი მოღვაწეობის

სხვა მხარეები. ამ მხრივ რა ღონისძიებებს გამართავენ?

— მნიშვნელოვანია კლდიაშვილის ექსპედიციები ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, ჯერ 1902 წელს სამხრეთ საქართველოში, შემდეგ 1910 წელს სვანეთში. ეს მასალა საინტერესოა იმ კუთხით, რომ იმ პერიოდის ასეთი მასშტაბური კვლევა არ გავგაჩნია. უამრავი ძეგლი, რომელიც 1902 წელს სამხრეთ საქართველოში „გაიზომა“, დღეს საქართველოს ტერიტორიაზე აღარ არის, ბევრი დაზიანებულია, ბევრის მოძიება ჭირს. ამდენად, სვიმონ კლდიაშვილის მიერ შესრულებული მასალა უნიკალურია მკვლევარებისთვის. მნიშვნელოვანი ფაქტია, რომ სვიმონ კლდიაშვილი გახლდათ პროფესიონალი არქიტექტორი, რომელიც ექვთიმე თაყაიშვილს გაჰყვა ტაო-კლარჯეთში. რაც შეეხება სვიმონის როლს საერო პროექტებში, 65-მდე პროექტი აქვს შესრულებული, რომელთაგან 25-მდეა განხორციელებული. თბილისში ძალიან ბევრი სახლი მისი აგებულია და, სამწუხაროდ, ბევრმა ეს არ იცის. ჩვენი მიზანია იყო არქიტექტორის სახელის პოპულარიზაცია. გვინდოდა, მნიშვნელოვანი კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები, რომლებიც მისი შექმნილია, საზოგადოებისთვის გამხდარიყო ცნობილი.

— როგორც ვიცით, წლის ბოლომდე, კიდევ გაქვთ დაგეგმილი რამდენიმე ღონისძიება...

— 13 ნოემბერს დავგეგმეთ კონფერენცია, რომელიც ეძღვნება XIX-XX საუკუნის არქიტექტურას და თანამედროვე გამოწვევებს. ანუ ეს არის პერიოდი, როცა სვიმონ კლდიაშვილი მოღვაწეობდა, როგორც არქიტექტორი. ნებისმიერ მკვლევარს საშუალება ექნება საკუთარი კონცეფცია და მოხსენებები წარმოადგინოს. მე და მარიამ გურგენიძე ვაკეთებთ თემას, რომელიც უშუალოდ სვიმონ კლდიაშვილს ეხება. კონფერენციაზე წავიკითხავ მოხსენებას „სვიმონ კლდიაშვილი და ექსპედიციები ტაო-კლარჯეთში და სვანეთში“. მარიამი გააკეთებს იმ პროექტების პრეზენტაციას, რომელიც სვიმონ კლდიაშვილმა შექმნა. დეკემბრისთვის მომზადებული გვაქვს კატალოგი, რომელშიც შევა მისი ბიოგრაფიული ცნობები, ექსპედიციების განხილვები, ვიზუალურად ერთად განთავსდება მის მიერ შექმნილი პროექტები, ფოტოები. ეს კატალოგი უკვე გამოცემლობას გადაეცა მოსამზადებ-

ლად. იგი საინტერესო იქნება ნებისმიერი ადამიანისთვის და განსაკუთრებით არქიტექტურის მკვლევრებისთვის.

ჩვენი მთავარი მიზანია თბილისში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე მდებარე მის მიერ აშენებული სახლის გადარჩენა. ამ სახლში სიცოცხლის ბოლო წლები გაატარა ილია ჭავჭავაძემ. ამდენად, ეს ორმაგად მნიშვნელოვანი ძეგლია. გვინდა, ამ სახლის რეაბილიტაციის ღონისძიებების შესახებ ინიციატივა გავახშიანოთ. ამას გარდა, თბილისში არ არსებობს სვიმონ კლდიაშვილის სახელობის ქუჩა. მერიას მივმართეთ წინადადებით — რომელიმე ქუჩას დაერქვას მე-19 საუკუნის ამ დიდი საზოგადო მოღვაწის სახელი.



|                      |                |  |                           |
|----------------------|----------------|--|---------------------------|
| მთავარი რედაქტორი    | ნინო კაკულია   | რედაქციის მმართველი:   | მისამართი:                |
| მთავარი სამხარკონსტი | მაია ტორაძე    | რისმაგ გორდენიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, | ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* |
| ტექნიკური რედაქტორი  | მანანა ჯურხაძე | ნიკოლოზ ჩხეიძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, ირაკლი კობახიძე, ირაკლი იმედაძე, ირმა რუხაძე   | (თსუ-ის მე-3 კორპუსი)     |
| ფოტოკომპოზიციონერი   | ანა ბოლქვაძე   |  | tsunewsaper@tsu.ge        |
| კომპ. უზარუნველყოფა  | ზაზა გულაშვილი |  | 2 22 36 62                |